# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 აგვისტო, 2010 წელი.

№156 (6522)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


4 უახლოესი 5-10 წელი რუსეთის მხრიდან საქართველოზე გააფთრებული შემოტევების პერიოდი იქნება

ინტერნეტ-პროვაიდერების თაღლითობა 3



## სავარძელი უყვარს უფალ „თამადას“...

რა უხარია საქემეოთავებულ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს და რატომ არ წუხს იოტისოდენადაც კი სუფრის ამჟამინდელი „წინამძღოლი“? 2







სამშობლოსთან მიახლების სიხარული 3

უსამართლო სასამართლო, გირაო და... ლინჩი 11

## ჯამუშების რესპუბლიკა




8

## მახრჩობელა კრედიტები, მათი გამცემის მხარდამჭერი ხელისუფლება და ანტიხალხური კანონი

5



ბანკიდან სესხის აღებამდე იურისტები კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას გვირჩევენ

უმუშევრობა მსოფლიოში აბსოლუტურ რეკორდს ამყარებს 5



ხორბლის დეფიციტმა პური გააძვირა 2

რუსები და ქართველები რეგულარულ ავიამიმოსვლას ვერ ელირსნენ 8

შენ დაუკა!

# სავარძელი უყვარს უფალ „თამადას“...

**რა უხარია საქმემოთავეებულ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს და რატომ არ წუხს იოტისოდენადაც კი სუფრის ამჟამინდელი „წინამძღოლი“?**




*— მიართვით! მიართვით! — დაამთავრებს, ალბათ, ცნობილი სიმღერის სათაურად გამოტანილ ამ ჩემეულად პერიფრაზირებულ სტრიქონს მელომანი მკითხველი.*

*არა, საქმე საქმეზე თუ მიდგება, ამ „თამადას“ არც იმ სიმღერაში ნახსენები ფიალა სძულს და არც მისი ბოლომდე დაცლის მერე მისატანებელი მწვადი თუ ხაჭაპური (რამე რომ იყოს, ამის შემდეგ, თუ „ქალის საშუალებაც იქნა“, არც ამაზე დაიხევს უკან (თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა), მაგრამ ჩემს, უფრო სწორად, ავთანდილ დემეტრაშვილის „თამადას“ ყველაფერს სავარძელი ურჩევნია, როგორც ამ ყველაფერი დანარჩენის მყისიერად გამჩენი და, მე რა ვქნა?*

*— ან ეს ავთანდილ დემეტრაშვილი ვინღაა და ან მისი თამადაო? — შეიძლება გაიკვირვოს ზოგიერთმა გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა.*

ვინაა, ჩემო ბატონებო, და **სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე გახლავთ, საქმემოთავეებული (საქმეგამოლეულში არ შეგეშალოთ!) კაცი, თავისი მისიის წარმატებით შესრულებით კარგ ხასიათზე მყოფი, მსუბუქი ღადაობის ხასიათზეც რომ დამდგარა.**

აი, ნახეთ, რას წერს იგი „ჯორჯიან თაიმსში“.

**„ქართული ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეს, რადგან ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც მიიჩნევს, რომ ერთი პიროვნება აუცილებლად უნდა იყოს თამადა“.**

წავიკითხე ეს და ბატონი ავთანდილის მაგიერ მე გამცრა ტანში:

თამადა ხომ ქართულ სუფრასთან ასოცირდება, რომელი ქართული სუფრაც თვალში არ მოსდის კი არა, დასანახავად არ ეჩვენება (მკითხველთან ბოდიში მისი სახელის ხსენებისთვისაძ, ემზარ ჯგერენაიას (ყოველ შემთხვევაში, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორობისას ასე მიაჩნდაძ, რომელმაც იგი, **ქართული სუფრა, გეების, ანუ პედერასტების შეკრების ადგილად მონათლა.**

თქვენ კიდევ, საქართველო ერთი დიდი სუფრაა და თამადა სჭირდებაო, ბატონო ავთანდილ!

ჰოდა, იმ ჯგერენაიამ რომ გაგიგოთ!!!

თუმცა, როგორც ვთქვი, საქმემოთავეებული (მეტად არ გაგაფრთხილებთ, საქმეშემოლეულში არ შეგეშალოთ-მეთქი!ძ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე კარგ, მსუბუქი ღადაობის ხასიათზეა, ხოლო კარგ ხასიათზე მყოფ კაცს ვინმე ჯგერენაია კი არა, ბაყბაყდევიც ვერ შეაშინებს.

მით უფრო, თუ ამჟამინდელი „თამადაც“ მისი მადლიერმხარდამჭერია.

არადა, ამ საწყალს, ამჟამინდელ „თამადას“, ავთანდილ დემეტრაშვილის მიერ შედგენილი კონსტიტუციის პროექტით „დასაცურებლად“ გამზადებულს, რაღა აქვს მისი სამადლიერო?

**ახი არ იქნება, თავისი ამჟამინდელი თანამდებობიდან მართლაც რომ მობოლტონ და 2012 წლისთვის პრემიერ-მინისტრად „ჩამოაქვეითონ?“**

**ან, ვაითუ, კიდევ უფრო მეტად რომ „ჩამოალაბორანტონ“?**

ფუი ეშმაკს! ეს რა წამოვცდა, ფუი ეშმაკს!

ხომ გადაირევა მაშინ ეს, ქალბატონი ხათუნა ოჩიაურის თქმით, ახალგაზრდა და ენერგიული კაცი, რა უნდა აკეთოს?

თუმცა რად უნდა გადაირიოს?

აგერ არა ჰყავს წარმატებით საქმემოთავეებული და ამით კარგ ხასიათზე დამდგარი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე?

ღმერთო, რას ავიჩემე ამ კაცის კარგ ხასიათზე ყოფნა? როცა საკუთარი ინიციატივით თუ „თამადის“ დავალებით დაწყებული საქმე კარგად გამომდის, მეც ხომ ხუმრობა-ღადაობის გუნებაზე ვდგები ხოლმე?

აკი ამბობს ერთი რუსული ანდაზა, რომელი რუსულის საპირწონედაც ახლა ინგლისური მკვიდრდება, — **სდელაი დელო, გულიაი სმელო!**

**ჰოდა, წარმატებით საქმემოთავეებული ბატონი ავთანდილიც ხუმრობის ხასიათზეა და არც სუფრის წინამძღოლად გახაზირებულს აქვს რაიმე სადარდებელი!**

**მართლაც, „რა სჯობია ქეიფსა და ლხენასა!“**

**მთავარია, „თამადა“ იყოს კარგად, თორემ „მაგიდის წევრები“ ვის რაში სჭირდება და ახსენდება!**

**ყოველ შემთხვევაში, „თამადის“ მორიგ, „პირდაპირი წესით“ არჩევამდე!**

**შენ დაუკა!**

**თუმცა მანამდე, სავარძელი მიართვით „თამადას!“**

**რუსლან რუსია**

იტყობინებიან

## რუსეთმა მოსავლის მეხუთედი დაკარგა

**რუსეთმა გვალვისა და მაღალი სიცხეების შედეგად მოსავლის მეხუთედი დაკარგა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა საფურაჟე სექტორი, სადაც დანაკარგი 25-30 %-ს აღწევს. ასეთი შეფასება აშშ-ის მეხორბლეთა საბჭომ გააკეთა.**

**ამერიკელები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული გარემოება რუსეთს იძულებულს გახდის ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიძინოს ფურაჟი. ბოლო მონაცემებით, რუსეთის სიმინდის ძირითადი მომხმარებლები გეგმავენ უახლოეს პერიოდში დაიწყონ იმპორტი, მათ შორის აშშ-იდან. საუბარია მინიმუმ 250-300 ათას ტონა სიმინდის შეძენაზე. ზამთარში კი მიწოდება შესაძლოა 30 %-ით გაიზარდოს.**

**დასავლეთ ევროპის აგრარულ ასოციაციებში მიიჩნევენ, რომ რუსეთს მაღალხარისხიანი ხორბლის შეძენაც მოუწევს და იმპორტს სავარაუდოდ ყაზახეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან განახორციელებს. იმპორტიორთა შორის სავარაუდოდ უზბეკეთიც იქნება, სადაც რეკორდული რაოდენობის მარცვლეული მოვიდა და მოსავლიანობამ 7 მლნ. ტონას გადააჭარბა. რუსაგროტრანსის ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იგორ პავენსკი მიიჩნევს, რომ რუსეთს მიმდინარე წელს 1,5-1,8 მლნ. ტონა მარცვლის შეძენა მოუწეს, მათ შორის, 1 მლნ ტონა ხორბლის.**

## უკრაინას ექსპორტის აკრძალვის უფლება არა აქვს

**უკრაინას, როგორც ვმო-ს წევრს, უფლება არ აქვს, აკრძალოს ექსპორტი. შესაბამისად, ქვეყნიდან ხორბლის ექსპორტის აკრძალვაზე საუბარი არ შეიძლება, განაცხადა ბელორუსში უკრაინის ელჩმა რომან ბესმერტნიმ.**

**მისი განმარტებით, საუბარია მხოლოდ გარკვეულ კვოტირებაზე და არავითარი გადაწყვეტილება ხორბლის ესპორტის შეჩერებაზე არ არსებობს.**

**შეგახსენებთ, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ხორბლის ექსპორტზე კვოტების დაწესება ერთი კვირით გადადო. აღნიშნული საკითხის განხილვას უკრაინის მთავრობა ხუთშაბათს დაგეგმილ მთავრობის სხდომაზე გეგმავდა, თუმცა საკითხის განხილვა 25 აგვისტოს მთავრობის სხდომისათვის გადაიდო.**

**შეგახსენებთ, რომ უკრაინის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ 2010 წლის ბოლომდე შეზღუდოს ხორბლის ექსპორტი, რათა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. ამის შესახებ უკრაინის აგრარული პოლიტიკის მინისტრმა ნიკოლაი პრისიაჟნუკმა ქვეყნის აგრარული კავშირის წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე განაცხადა. აღნიშნულის მისაღწევად ქვეყანაში შემოღებული იქნება კვოტირებული შეჯერებული მოცულობა 2,5 მლნ ტონა.**

ჯი-ეიჩ-ენი

მთავრობა

## გილაური კმაყოფილია

**პრემიერ-მინისტრი ივლისის ეკონომიკური მაჩვენებლებით კმაყოფილია და აცხადებს, რომ ქვეყანამ ეკონომიკის ზრდის ტემპი მაქსიმალურად შეინარჩუნა. გილაურის განცხადებით, 2010 წლის 6 თვეში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები წინასწარი მონაცემებით, 5.5-6 პროცენტის ფარგლებშია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. თუმცა 6 თვის საბოლოო მაჩვენებლები სექტემბრის დასაწყისში გახდება ცნობილი.**

— რაც შეეხება ივლისის თვეს, ზრდის ტემპი აქაც შენარჩუნდა და ის იმავე ფარგლებშია, რაც 2010 წლის პირველ 6 თვეში იყო. ივლისის თვეში გაიზარდა დეპოზიტების მოცულობა და ის, 2009 წლის ივლისის თვეს რომ შევადაროთ, გაზრდილია 44 პროცენტით. დღეისათვის გაზრდილია ასევე სასესხო პორტფელი და ის 2009 წლის ივლისთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. ივლისში გაიზარდა ასევე ავტომობილების რეგისტრაცია და თუ 6 თვეში ზრდა 15 პროცენტი იყო, ივლისში 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34 პროცენტითაა გაზრდილი. მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ასევე დღგ-ს ბრუნვასთან მიმართებაში და ივლისში იგი 2009 წლის ივლისთან შედარებით 28 პროცენტია, — განაცხადა გილაურმა.



## ხორბლის დეფიციტმა პური გააძვირა

**სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი პურის გაძვირებას მსოფლიოს ბაზარზე ხორბლის დეფიციტს უკავშირებს.**

**— საქართველოში პურის ფასის ზრდა გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე შექმნილი დეფიციტით და ხორბალზე ფასების ზრდით, — განაცხადა მან მთავრობის სხდომის დაწყების წინ.**

მისივე თქმით, საქართველოს აქვს ხორბლის მარაგი და მოსახლეობაში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

მინისტრის თქმით, საქართველო ხორბალის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდამ ადგილობრივ ბაზარზეც იქონია გავლენა.

— ბუნებრივია, რომ ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში პროდუქციაზე ფასები გაიზარდა, თუმცა საქართველოს აქვს საკმარისი მარაგები იმისათვის, რომ შიდა ბაზარზე დეფიციტის აღმოიფხვრას და პანიკა არ წარმოიქმნას. საქართველო ხორბლის საერთო მოხმარების 85 პროცენტს იმპორტით იღებს და, შესაბამისად, სახელმწიფოს არანაირი ბერკეტი არ აქვს, რომ ფასზებზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს, — განაცხადა კვეზერელმა.

ცნობისთვის, პურზე ფასი 10 თეთრით გაიზარდა.

ჯი-ეიჩ-ენი

⦾ კულტურა

*ამ დღეებში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, სანკტ-პეტერბურგის ქართული ნაციონალურ-კულტურული ავტონომია „ივერიისა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების — „ივერიას“, „სიხარულისა“ და „საქართველოს“ კონცერტი დევიზით: „სამშობლო, როგორც უფალი — ერთია ქვეყანაზედა“.*

# სამშობლოსთან მიახლების სიხარული

## სანკტ-პეტერბურგელი ქართველები აჭარის სანაპიროზე

ერთი შეხედვით, საკმაოდ მშრალი ინფორმაციაა. საკმაოდ მშრალი. შეიძლება ვინმემ ისიც კი თქვას, რა მოხდა მერე ისეთი, ჩატარდა კონცერტი და მერე რა, აგვისტოს დღეებში ხომ ისედაც უამრავი კონცერტი იმართება ბათუმშიო.

არადა, იმ საკონცერტო აფიშის უკან, რომელიც ბათუმის დრამატული თეატრის შესასვლელთან იყო გაკრული, დიდი სიყვარული, ტკივილი, მონატრება, მუხლჩაუხრელი შრომა და მიღწეული შედეგის ხილვით თვალზე მომდგარი ცრემლი იმალება.

საქმე ის არის, რომ რუსეთში შექმნილ და მოქმედ ამ ანსამბლებში ძირითადად ის ბავშვები არიან გაერთიანებულნი, რომელთა მშობლებსაც ცნობილი ტრაგიკული მოვლენების გამო სამშობლოს დატოვება მოუხდათ. ბევრია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი, მაგრამ მათ გვერდით აფხაზი და ოსი ეროვნების ბავშვებიც ცეკვავენ (შეიძლება სიმბოლურიც იყო, რომ კონცერტი სწორედ 14 აგვისტოს, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების თარიღს დაემთხვაძ.

ქართულმა კულტურამ, ქართულმა ხელოვნებამ და პედაგოგთა სიყვარულმა ამ ბავშვებს პატარა საქართველო აპოვნინა. ის საქართველო, სადაც ყველა ერთად შრომობს, ერთად ქმნის იმ სიხარულს, რომლითაც მაყურებელსა და მსმენელს აჯილდოებენ.

სანკტ-პეტერბურგელი ბავშვებისთვის ამ მშობლიური კერის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სათვისტომო „ივერიას“ და მის პრეზიდენტს, ბატონ **ბადრი კაკაბაძეს**.

ქართული გარემოს შექმნა, ქართული სულის გაძლიერებაა სათვისტომოსა და მისი პრეზიდენტის მთავარი ამოცანა, რომლის დადებითი შედეგი ბათუმურმა კონცერტმა გვაჩვენა.

ანსამბლის ისტორიის შესახებ მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, რუსეთის ფედერაციის ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი **დავით რუსია** გვესაუბრა:

— სანკტ-პეტერბურგის ქართულ სათვისტომო „ივერიასთან“ არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 2002 წლის სექტემბერში შეიქმნა და პირველი კონცერტი იმავე წლის 25 დეკემბერს გამართა. კონცერტის შემდეგ უამრავი ბავშვი დაინტერესდა ამით და მუშაობაც მაქსიმალური დატვირთვით წარიმართა. 2003 წელს სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან სამასი წლის აღსანიშნავ ღონისძიებებშიც მივიღეთ მონაწილეობა და საზოგადოების უდიდესი მოწონება დავიმსახურეთ. 26 მაისს კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მივუძღვენით კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ როგორც ქართველები, ასევე რუსები, ხელოვნებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები.

მას შემდეგ მოვდივართ და ყველგან დიდ სიყვარულსა და წარმატებას ვაღწევთ. ფინანსურად ძირითადად სათვისტომო და მისი პრეზიდენტი, ბატონი ბადრი კაკაბაძე გვეხმარება. ასევე დიდ მხარდაჭერას გვიწევენ ბატონები ბორის ბერულავა და იური ხაჭომია. რაც შეეხება სანკტ-პეტერბურგის ხელისუფლებას, ისიც საკმაოდ გვიწყობს ხელს. თვით გუბერნატორმა გვითხრა, რომ ყველა დიდი ღონისძიების დროს, ქართული ცეკვის ანსამბლების მონაწილეობა არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიაო.

სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით კი ვიტყვი, რომ ჩემი შვილის, **ირაკლი რუსიას** თაოსნობით (ირაკლი რუსია ქართულ სათვისტომოში კულტურის მიმართულებას ხელმძღვანელობსძ 2010 წელს სანკტ-პეტერბურგში შეიკრიბა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებული ანსამბლი „ივერიები“ და მუსიკალური კომედიის თეატრში ჩატარდა გრანდიოზული კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ბათუმის კონცერტთან დაკავშირებით კი ვიტყვი, რომ ეს იყო სამივე ანსამბლის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილება. მშობლებმა ბავშვების ჩამოყვანა თავის თავზე აიღეს. დღეს აქ ჩამოსულ ბავშვთაგან საკმაოდ ბევრი პირველად არის სამშობლოში და როგორც ხედავთ, მათს სიხარულს საზღვარი არა აქვს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ პაპუნა დავითაიას, ნუგზარ წიკლაურს, კულტურის სამინისტროს, ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებმაც მართლაც უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ამ ღონისძიების ჩატარებაში. ჩვენი დიდი სურვილია, რომ, თუ მიმოსვლა აღდგა, მსგავსი კონცერტი თბილისში ჩავატაროთ, რომელსაც ჩვენთვის უფრო საანგარიშო ხასიათი ექნება, რადგანაც გვინდა ყველას ვამცნოთ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენი სამშობლოსათვის იმ შორეულ მხარეში.




ბატონი დავითის გარდა ანსამბლის მოცეკვავეებსაც გავესაუბრე.

18 წლის **სოფო ალანია** სოხუმიდანაა. ის ექვსი თვისა იყო, როცა მშობლებმა სანკტ-პეტერბურგში ჩაიყვანეს. ცეკვა პატარაობიდან დაიწყო. თორმეტ წლამდე სამეჯლისო ცეკვის სტუდიაში დადიოდა. როცა ქართული ცეკვის ანსამბლის კონცერტს დაესწრო, იმდენად აღფრთოვანდა, რომ სამეჯლისო ცეკვები მიატოვა და ქართული ცეკვის სწავლა გადაწყვიტა. ანსამბლში დაარსების დღიდანაა და დღეს უკვე პატარებსაც ასწავლის. სწავლობს ხელოვნების ფაკულტეტზე, მუსიკალური ესტრადის განხრით.

რუსთაველი **სტეფანე ხანიშვილი** ანსამბლის სოლისტია. აქვს თავისი საყვარელი ილეთები.

თხუთმეტი წლის **ნათია ორბელაძე** წარმოშობით ბაღდათიდანაა, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი **თეონა გუმბარიძეც** ბაღდათელია. მისი ჯგუფელები და ლექტორები ხშირად სთხოვენ, აჩვენოს ქართული ცეკვის სილამაზე. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი **თეონა შენგელია** ცეკვაზე ბებიამ მიიყვანა. დღეს მას ანსამბლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ოჩამჩირელი **ნანა მიქაია** სანკტ-პეტერბურგში უკვე 27 წელია ცხოვრობს. მისი ორივე შვილი ანსამბლის წევრია...

კონცერტი ექვს საათზე დაიწყო. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერლები და მოცეკვავეები. ბათუმის თეატრის მსახიობებმა ქეთევან ეგუტიძემ და ავთანდილ ქარჩავამ განსაკუთრებული ხიბლი და ეშხი შემატეს სანკტ-პეტერბურგელი ქართველების მიერ სცენაზე დანთებულ ცეცხლს.

**ისმოდა ქართული სიმღერა, იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტკივილიანი მონატრება, იყო მშობლიურ მიწასთან შეხვედრის სიხარული და იყო გადაჭედილი დარბაზი. სულგანაბული, თვალზე ცრემლმომდგარი მაყურებელი და მქუხარე ტაში — ის ჯილდო, რაც დაიმსახურეს სანკტ-პეტერბურგელმა ქართველებმა.**

**გია გაბრიჭიძე,**
„სრ“ სპეც. კორ. თბილისი-ბათუმი-თბილისი

⦾ SIC!

# ინტერნეტ-პროვაიდერების თაღლითობა

## გასდით და იმიტომ „ტირიან“, მაგრამ ვისი წყალობით გასდით?

**საქართველოში ინტერნეტის ყველა მომხმარებელმა კარგად იცის ინტერნეტპროვაიდერების მომსახურების დაბალი დონისა და მიწოდების დაბალი ხარისხის შესახებ, თუმცა როცა საქმე თაღლითობას ეხება, ეს უკვე ყურადსაღები თემაა**

ქართულ ინტერნეტბაზარზე მოთამაშე ორი ძირითადი პროვაიდერი თაღლითობის ამ სქემას წარმატებით იყენებს. საუბარია იმ გადასახადზე, რომლის მომსახურებაც მათ აბონენტისთვის არ გაუწევიათ. მაგალითად, თუ თქვენ ერთი კვირის განმავლობაში ინტერნეტი პროვაიდერის მიზეზით არ მოგეწოდებათ, ამ გადასახადს არავინ გაპატიებთ. „ჯი-ეიჩ-ენი“ 3 დღის განმავლობაში ცდილობდა „კავკასუს ონლაინის“ მენეჯერს დაკავშირებოდა, თუმცა უზრდელად გაწვრთნილი ოპერატორები ძალიან მარტივად პასუხობენ — **„მენეჯერთან ვერ დაგაკავშირებთ“**. კითხვაზე — **რატომ?** ისევ უმარტივესი ამებას პასუხია — **„იმიტომ! კარგად ბრძანდებოდეთ“**.

იგივე ვითარებაა **„სილქნეტში“**. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ „კავკასუს ონლაინში“ წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემის მიზეზად თითს „სილქნეტისკენ“ გაიშვერენ, ამ უკანასკნელში მიზეზად დაბალი ძაბვის გამო „მოდემის“ გადახურებასა და ხაზებს აბრალებენ. თითქოს ხაზები სხვა კომპანიის კუთვნილება იყოს. უბრალოდ, ასე მარტივად ცდილობენ მოიშორონ გაღიზიანებული აბონენტი თავიდან, რომელიც თვიდან თვემდე საააბონენტო გადასახადს, შესაძლოა, რის ვაივაგლახით იხდის. ასეც რომ არ იყოს, ის იხდის და შესაბამისად მომსახურებაც სჭირდება.

**ასე არ ფიქრობენ პროვაიდერი კომპანიების ხელმძღვანელები. მათ კარგად იციან, რომ თითეული გათიშული წუთი მათ ჯიბეზე აისახება და თუ აბონენტი კვირიდან კვირამდე არკვევს, რატომ არ მიეწოდება ინტერნეტი, პასუხს არავინ გასცემს.**

**თაღლითობის კიდევ ერთი სქემა: ვთქვათ, თქვენ შეიძინეთ 8 მგბ-იანი ინტერნეტი.** ერთ მშვენიერ დღეს, თუ ტექნიკოსს ჰკითხავთ, რატომ მოგეწოდებათ ინტერნეტი ცუდად, უმეტეს შემთხვევაში, ასეთ პასუხს მოისმენთ, **„ხაზი 6-ის მეტს „ვერ იჭერს და სიჩქარე 8-ზე რომ დავაყენოთ, წყვეტა გექნებათ“**. მომხმარებელიც ძალიან ადვილად ეგუება ამ მწარე სინამდვილეს და ოღონდ მიიღოს ინტერნეტი, თავად ერთვება უკანონო გარიგებაში. არადა, ეს კომპანიის მიერ მიღებული უკანონო შემოსავალი მომხარებლისთვის მიყენებული ზიანის ხარჯზე ხდება.



კომპანია თავის ბრალეულობას ვერ ხედავს იმაში, რომ მის გამო უინტერნეტოდ დარჩენილ მომხმარებელს არ შეუძლია სამუშაო საათის დასრულების შემდეგ მიმართოს. „კავკასუსის“ თანამშრომლები, როგორც ეს „ცივილიზებული კომპანიების“ თანამშრომლებს შეეფერებათ, 18:00 საათზე შინ მიბრძანდებიან და, შესაბამისად, ამ დროის შემდეგ უკვე თათა, თეკლა ან მაყვალა გიპასუხებთ, რომ ტექნიკურმა ჯგუფმა მუშაობა დაასრულა და ხვალ დარეკეთო. მხოლოდ ამის სათქმელად მოპასუხე თეკლები და ნათიები მერე ადგებიან და თუ გაღიზიანებული აბონენტი აღშფოთებას გამოხატავს, მის ჩანაწერს სხვადასხვა საიტზე გამოაქვეყნებენ.

„კავკასუს ონლაინის“ არც ერთმა ოპერატორმა არ იცის, რატომ უნდა გადაიხადოს აბონენტმა იმ მომსახურების გადასახადი, რომელიც არ მიუღია. მენეჯერთან არ გაკავშირებენ. მაშინ ისმის კითხვა, **რა ქნას აბონენტმა? მუდმივად იყოს ამ თაღლითური სქემის მსხვერპლი?** ამაზე პასუხი არც თითქმის უფუნქციო კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას აქვს. მრავალათასლარიანი ხელფასითა და დაყენებული ხმით მშვიდად და აუღელვებლად გიპასუხებენ — **მიმართეთ სასამართლოს.**

**დღეისათვის „კავკასუს ონლაინის“ მორიგი უყურადღებობის გამო მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უინტერნეტოდაა დარჩენილი, მაგრამ ეს ფაქტი კომპანიისთვის საგანგებო რეჟიმში მუშაობის საფუძველი არ გამხდარა. აღნიშნული შემთხვევაც ადასტურებს, რომ „კავკასუსი“ კლიენტებზე ორიენტირებული კომპანია არაა და მომხმარებელს მხოლოდ საკუთარი შემოსავლის წყაროდ განიხილავს.**

„კავკასუს ონლაინის“ მხრიდან თავისი აბონენტების მიმართ უყურადღებობას ერთ-ერთი მენეჯერი თეონა მარტაშვილიც ადასტურებს. მაისში არსებული პრობლემის დროს, როდესაც „კავკასუსის“ თითქმის ნახევარზე მეტი აბონენტი გათიშული იყო, თეონა მარტაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში არ დააკონკრეტა კონკრეტული აბონენტების რაოდენობა, რომელიც კომპანიამ უინტერნეტოდ დატოვა და განმარტა, რომ „ასე ზეპირად“ ამ რიცხვს ვერ დაასახელებდა.

„სილქნეტისა“ და „კავკასუსის“ თავნებობა იქამდე მიდის, რომ, მაგალითად, 5-6-7-დღიანი ლოდინის შემდეგ ერთიც და მეორეც გიპასუხებენ, — **გადადით სხვა პროვაიდერთან.** ასეთ დროს მობილური ოპერატორები მახსენდება, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინეს, რომ კონკურენცია არც ისე მარტივი ყოფილა...

ინტერნეტპროვაიდერების შემთხვევაში კი ორი მონოპოლისტი კომპანია, რომელთა გაერთიანების შესახებ საუბარი უკვე მიმდინარეობს, თავს ჯერჯერობით კომფორტულად გრძნობს. თუ რატომ არ რეაგირებენ მათ თაღლითობებზე, არც ისე რთული გასაგები უნდა იყოს. ისევე, როგორც „სილქნეტი“ მოიქცა, ერთ მშვენიერ დღეს „კავკასუსიც“ რამდენიმე შპს-დ დაიშლება, ვალდებულებებს მათზე გადაანაწილებს, მერე გააკოტრებს და ახლად დაარსებული შპს ვალდებულებების გარეშე განაგრძობს მუშაობას. ცალკე თემაა ჩეხეთსა და პოლონეთში დაარსებული კომპანიებისგან ნაყიდი ე.წ. შავი ტრაფიკი. თუმცა ამაზე სხვა დროს.

**გიორგი ჩაჩუა**

## ◉ თვალსაზრისი

***რას შეიძლება ნიშნავდეს ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კრემლის დემონსტრაციული გააქტიურება, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით დასავლეთმა ხელი ჩაიქნია? ვისი აზრი გაახმოვანა რუსმა ექსპერტმა ტრენინმა, როცა საქართველოს აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ გალის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების იდეა შესთავაზა,? — „ინტერპრესნიუსი“ ამ საკითხებზე გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარეს თენგიზ ფხალაძეს ესაუბრა.***



# უახლოესი 5–10 წელი რუსეთის მხრიდან საქართველოზე გააფთრებული შემოტევების პერიოდი იქნება

**— ბატონო თენგიზ, აგვისტოს ომიდან ორი წლის თავზე რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ვა-ბანკზე მიდის, ყოველ შემთხვევაში ამაზე მეტყველებს პრეზიდენტ მედვედევის აფხაზეთში დემონსტრაციული ჩასვლა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა ს-300-ის განლაგება. როგორ შეაფასებდით 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორი წლის თავზე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას?**

— რუსეთი დროს არ კარგავს და მაქსიმალურად ცდილობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ლეგალიზებას. რუსეთი ამის კეთებას ცდილობს როგორც დიპლომატიურ-პოლიტიკური კუთხით, ისე ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით. რუსეთმა ამ რეგიონებიდან პრაქტიკულად განდევნა საერთაშორისო მისიები, რითიც მან თავისი არალეგალური საქმიანობისთვის პრაქტიკულად ხელ-ფეხი გაიხსნა. ეს ტერიტორიები დღეს პრაქტიკულად საერთაშორისო მეთვალყურეობის გარეშეა დარჩენილი. აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. გარდა ამისა, რუსეთი ამ ტერიტორიებზე იმას აკეთებს, რაც მოესურვება. ამის კარგი მაგალითია აფხაზეთიდან არა მხოლოდ ინერტული მასალების გატანა, არამედ აფხაზეთის ინერტული მასალებისგან ძარცვა და ყველა იმ პროექტების განხორციელება, რასაც რუსეთი ამ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას უწოდებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთში უპრობლემოდ აქვთ უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთების შეძენის უფლება რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს. ყველა ნიშანია იმისა, რომ რუსეთი თავის მიერვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებულ საქართველოს პროვინციებს რუსეთის ნაწილად გადაქცევას ცდილობს.

რუსეთი არც მალავს, რომ სოჭის ოლიმპიადისთვის ემზადება და იმ დროისთვის, სოჭთან ახლოს მდებარე აფხაზეთში, თავისი პოზიციების გამყარება სურს. რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების ათვისების პოლიტიკას მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ახორციელებს.

**— აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ვაშინგტონი და ბრიუსელი საკმაოდ მკაცრ განცხადებებს კი აკეთებენ, მაგრამ ამ რეგიონებთან დაკავშირებით ვითარება არათუ უკეთესდება, არამედ უარესდება. კრემლის აშკარად გამომწვევი მოქმედებები დასავლეთის მხრიდან უპასუხოდ რჩება. დასავლეთმა ამ პრობლემებზე ხელი ჩაიქნია, თუ რასთან გვაქვს საქმე?**

— სამწუხაროდ, რეალობა ისეთია, რომ იმ აგრესიას, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა, დასავლეთი სამხედრო ძალით ვერ დაუპირისპირდება. აქედან გამომდინარე, საუბარია მხოლოდ ახალ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ხერხებსა და მიდგომებზე. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ არც ჩვენ და არც დასავლეთი, არც კონკრეტულად ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფო მზად არ იყო ისეთი სახის საფრთხეებისა და გამოწვევებისთვის, რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოში. დასავლეთს ორი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ შეეფასებინა სიტუაცია და გაერკვია თუ სად ვართ, რა პრობლემების წინაშე ვიმყოფებით და საერთოდ, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ.

დღეს, იგივე რუსეთთან მიმართებაში მსოფლიოში საკმაოდ საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ნატო თავის ახალ, იმგვარ სტრატეგიას ამუშავებს, რომლის მიღებაც წელს მოხდება. მასში საუბარია რუსეთთან ურთიერთობაზე, ევროპის ცალკეული სახელმწიფოები და ევროკავშირი აუმჯობესებენ ურთიერთობას რუსეთთან. იგივე შეძლება ითქვას ამერიკა-რუსეთს შორის მიმდინარე გადატვირთვის პოლიტიკაზე, მათ შორის ირანის საკითხში თანამშრომლობა. იმავდროულად, ძალიან საგულისხმო იყო ნატოს სარაკეტო სისტემების აღმოსავლეთ ევროპაში განლაგება. აქ არის საკმაოდ დიდი და კომპლექსური პრობლემების მთელი კასკადი, რომელთა გადაწყვეტაშიც რუსეთი მეტ-ნაკლებად ჩართულია.

შექმნილ ვითარებაში დასავლეთი ეძებდა იმ მიდგომებს, თუ რა ენაზე უნდა ესაუბრა და წარემართა თავისი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ახლა ის პერიოდია, როცა თავის მხრივ საქართველომაც კარგად უნდა გაითავისოს ჩვენ სადა ვართ დღეს რუსეთთან ურთიერთობებში. ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს არსებულ ვითარებას, 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის 6-პუნქტიანი შეთანხმებაა, რომელიც რუსეთმა ერთ კვირაში დაარღვია. ამიტომ, ჩვენც კარგად უნდა გავერკვეთ, რა რესურსები და ბერკეტები გვაქვს და რა საფრთხეები მომდინარეობს რუსეთიდან.

უახლოესი 5-10 წელი რუსეთის მხრიდან საქართველოზე გააფთრებული შემოტევების პერიოდი იქნება. ამის თქმის საშუალებას ის სტრატეგიული დოკუმენტები იძლევა, რომელიც რუსეთში ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში იქნა მიღებული. ესენია — რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, ეკონომიკური განვითარების ახალი კონცეფცია, მოსკოვის მიერ დასავლეთისთვის ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შეთავაზებული კონცეფცია. ყველა ეს დოკუმენტი თავისი არსით საკმაოდ ამბიციურია. ხაზგასმულია მრავალი საფრთხეები, რომელიც მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ჩვენთვის. მათ შორის გამოვყოფდი ამ დოკუმენტებში ისეთ ასპექტებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ მომავალი კონფლიქტები შეიძლება დაიწყოს წყლის რესურსებისთვის, ან რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილში და ამდაგვარი მინიშნებები. ეს მესიჯები საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ამიტომ ვამბობ, რომ უახლოესი 5-10 წელი რუსეთის მხრიდან საქართველოზე გააფთრებული შემოტევების წლები იქნება და ჩვენ საკმაოდ კარგად უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ თავი დავიცვათ.

**— ამას წინათ, ბრიტანული The Financial Times-ის ცნობილმა ავტორმა ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში დაასკვნა, რომ რუსეთს საქართველოსგან მორჩილება უნდა და არა შერიგება. ეთანხმებით ასეთ შეფასებას?**

— ამ მოსაზრებას სრულიად დავეთანხმები, ვინაიდან რუსეთი ცდილობს დიპლომატიურ ენაზე სხვაგვარად წარმოაჩინოს ვითარება. რუსეთის ლიდერები კი აცხადებენ, რომ მათ ქართველ ხალხთან გასაყოფი არაფერი არა აქვთ, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ რუსეთს მართლაც სურს საქართველოს დამორჩილება და არა მასთან შერიგება. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ რუსეთს საქართველოში რომელიმე კონკრეტული პიროვნება არ მოსწონს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს სამი პრეზიდენტი ჰყავდა და არც ერთი მათგანი რუსეთისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. საუბარია რუსეთის, როგორც სახელმწიფოს სტერეოტიპზე და მის აზროვნებაზე. რუსეთი არის ქვეყანა, რომლისთვისაც ყველაფერი დასავლური მიუღებელია და დასავლეთი მისთვის ის სამყაროა, რომელსაც უნდა ებრძოლონ.

კრემლისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ნატოს რუსეთის საზღვრებთან მიახლოება, საქართველოზე და სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა. რუსეთში ჩამოყალიბებულია სტერეოტიპი, რომ კავკასია რუსეთისაა. ჩვენ სწორედ ამ სტერეოტიპებთან გვიწევს ბრძოლა. აქედან გამომდინარე, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებისთვის საქართველოსთან შერიგება, მხოლოდ დამორჩილებას და გეორგიევსკის ახალ ტრაქტატს ნიშნავს. ეს ნიშნავს იმ პირობების უპირობოდ მიღებას, რასაც მოსკოვი გვიკარნახებს.

**— კიდევ რა სახის საფრთხე შეიძლება შეუქმნას რუსეთმა საქართველოს და ქართულმა მხარემ რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საფრთხეების აცილება შესაძლებელი იყოს?**

— ამ კითხვაზე ცალსახა პასუხისა და რეცეპტის გამოწერა შეუძლებელია. ერთადერთი, რაც არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფ საქართველოს სჭირდება, უფრო მოქნილი დიპლომატია და საგარეო პოლიტიკაა. საერთოდ, პატარა არ ნიშნავს სუსტს. ხანდახან მოქნილობასა და მობილურობაში უფრო მეტი ძალაა, ვიდრე ტლანქი და უხეში სხეულის მოქმედებაში. მოხერხებითა და ჭკუით გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე უხეში ძალით. საქართველოს სჭირდება ათჯერ და ასჯერ მეტად დაფიქრება, ნაკლები ემოციები და იმაზე მუდმივად მუშაობა, რომ დავთვალოთ და შევაფასოდ საფრთხეები. გავთვალოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს არა მარტო ხვალ და ზეგ, არამედ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში და ვეცადოთ მოწინააღმდეგეზე წინ ვიყოთ, და არ ვიყოთ მხოლოდ პოსტფაქტუმ რეაგირების რეჟიმში.

მთავარია, შეიქმნას პრევენციის მექანიზმი, რისთვისაც აუცილებელია ჩამოყალიბდეს სტრატეგია იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მას მრავალჯერ აღემატება და რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. ნებისმიერი საკითხი სწორედ რომ ამ სტრატეგიის ჭრილში უნდა განიხილებოდეს.

**— მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორმა დიმიტრი ტრენინმა მოსკოვში გამომავალ ინგლისურენოვან გაზეთ „The Moscow Times“-ში საქართველოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ გალის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება შესთავაზა.**

**თქვენი აზრით, ტრენინმა თავისი აზრი გაახმოვანა, გარკვეული პოლიტიკური წრეების, თუ უბრალოდ მიგვანიშნებენ, რომ საქართველოს სერიოზულ დათმობებზე წასვლა მოუწევს?**

— საქართველოსგან განსხვავებით სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს იმ სიტუაციის მუდმივი შესწავლა, რაც დღეისთვის საქართველოშია. შესაბამისად, მიმდინარეობს სხვადასხვა სცენარის შექმნა. როგორც ჩვენთვის ყველაზე მისაღებზე, ასევე ყველაზე ცუდზე. ის, რაც ტრენინმა გაახმოვანა, ერთ-ერთი სავარაუდო სცენარია. ასეთ სცენარებზე მუშაობა საქართველოშიც უნდა მიმდინარეობდეს და ჩვენ უნდა ვიყოთ მზად ამგვარი ტიპის თითოეული სცენარისთვის. იმისთვის, რომ საქართველომ გააკეთოს ამგვარ სცენარებზე რეაგირება, კარგად უნდა გვქონდეს გათავისებული, რასთან გვაქვს საქმე და სად, როდის და როგორ შეიძლება შეიცვალოს ვითარება ჩვენს სასარგებლოდ.

მსოფლიოში არიან პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები, რომლებიც საქართველოსთვის დახმარებას ცდილობენ, მაგრამ არიან პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები, რომლებსაც არსებული სიტუაციის განმუხტვა საქართველოს ინტერესების ხარჯზე სურთ. ჩვენ უნდა შევძლოთ, ამ რეალობას თვალი გავუსწოროთ და არსებული რეალობიდან გამომდინარე ათჯერ და ასჯერ მეტად ვიმუშაოთ.

ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში იქმნებოდეს და ჩვენ ვთავაზობდეთ ჩვენს პარტნიორებს, საითკენ უფროა შესაძლებელი სვლა და როგორ შეიძლება მოქმედება.

**კობა ბენდელიანი**

## ◉ ადამიანი დროში



# ქალობა დიდი სილამაზეა

**მესამოცე ზაფხულის ელვარსხივმა მიანათა განვლილ წლებს... თითოეულს თვალებში ჩახედა... გავშური, უმანკო თვალებით იცქირებოდნენ წლები... სიკეთითა და სიყვარულით იყო სავსე მისი მზერა...**

**ასე მოჩანს მესამოცე ზაფხულის გადასახედიდან ქალბატონ ნაზი ქობალიას განვლილი გზა. ქალბატონისა, რომელიც შრომით, ალალი გულით, სიკეთის თესვითა და ქველმოქმედებით სამოცი წელია ცხოვრობს ტკივილდახუნძლულ საწუთროში.**

ღვთის რჩეული უნდა იყო, რომ შეძლო ასეთი ცხოვრება. რომ შეძლო შველა, თანადგომა მოყვასისა. „კაცია ყველას წამალიო“ ბრძანა დიდმა ვაჟამ. ქალბატონო ნაზი, შენ შესძელი, სიკეთით გეწამალა ადამიანებისთვის. შესძელი, რადგან გჯეროდა, მხოლოდ სიკეთით შეიძლება ადამიანის სულიერი და ფიზიკური გადარჩენა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში, ჯერ კიდევ ბოგინობს სიღარიბე, როცა საქვეყნო და პირადი ტკივილები ადამიანთა თვალებში სევდად ჩაგუბებულა, ამ დროს სიკეთე მართლაც წამალია. ზოგჯერ ეს საქმე-ქველმოქმედება გმირობის, ვაჟკაცობის ტოლფასია. აკი ბრძანა ილია ჭავჭავაძემ: „ვაჟკაცად იგი მიქია, ვინც უბედურთა მხსნელია“. შენი ვაჟკაცური სული, მარად ადამიანის ხსნისთვის იხარჯება. მით უფრო ფასდადებულია შენი სიკეთე, ქველმოქმედება, რადგან ეს საქმე შენი ხასიათის მუდმივი თვისებაა.

საქართველოს, ქართველი ხალხის სიყვარულია შენ მიერ გაცემული სიკეთის წყაროს სათავე.

**„ქარი ფორიაქობს, ღრუბელი რომ არია... ისმის ჩუმი ოხვრა მიწის!
კოლხო ქალბატონო ნაზი ქობალია, მამულის ტკივილებით იწვი!“**

იწვი, ანათებ და სხვებს უნათებ... ტკივილების დაძლევაში სიკეთით შველი ქვეყანას და ხალხს. შენ მიერ გაცემული სიკეთის სხივი თვალის მომჭრელი სინათლით კი არა, თაფლის სანთლის შუქით იალობს... ხან ვის უნათდება და ხან — ვის...

მრავლადსასაუბნაროა შენი კეთილი საქმენი. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შენი ხელფასის დანაზოგით ზოგის გაზეთი დააფინანსე, ზოგის წიგნი გამოეცი, ზოგს წამლით დაეხმარე, ზოგს ფულით ლუკმა-პურისათვის. ეს ქმედება თითქმის ყოველდღიურია. შენ სხვაგვარად ვერ იცხოვრებ. იმიტომ უყვარხარ ყველას... .ოჯახში, სამსახურში, სამოყვროში თუ სამეგობროში.

საქართველოს ერთ-ერთ საოცრად ლამაზ კუთხეში — სვანეთში, მესტიის რაიონის ერთ ლამაზ სოფელ იდლიანში დაბადებულს, სოფლის პედაგოგობიდან დაწყებული, შემდგომ წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის, ტრანსპორტის, ავიაციის, იუსტიციის, ენერგეტიკის სამინისტროებში მომუშავე დამსახურებულ ფინანსისტს ყველგან სიყვარული და პატივისცემა დღემდე თან გახლავს;

დიდი, რთული საპასუხისმგებლო გზა განვლე. ყველგან ქართველი ქალის კდემამოსილებით, სათნოებითა და სიბეჯითით საუკეთესო მუშაკის სახელი დაიმკვიდრე.

**„საქართველოს, მზედ ანთებულ გულთან, შენისთანა ქალები ხდის უკვდავს“.**

დაბადების დღეს გილოცავ, ქალბატონო ნაზი, ღმერთმა გახაროს და გადღეგრძელოს შენი ლამაზი შვილებით და შვილიშვილებით, უმრავლოს საქართველოს შენისთანა ადამიანები!

**ზოია ვაშაკიძე.**

◉ ფინანსები

# მახრჩობელა კრედიტები, მათი გამცემის მხარდამჭერი ხელისუფლება და ანტიხალხური კანონი



## ბანკიდან სესხის აღებამდე იურისტები კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას გვირჩევენ

**სტატისტიკა მოწმობს, რომ საქართველოში სხვებზე წარმატებულად, სამშენებლო დარგთან ერთად, საბანკო სექტორი ვითარდება, იმის მიუხედავად რომ ცნობილი მიზეზებისა გამო შარშან და შარშანწინ, შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა გარემომ, უარყოფითი ზეგავლენა იქონია მთლიანად ეკონომიკაზე, და, ცხადია, საბანკო სექტორზეც. ბევრი დიდი ბანკის მიღწევები მოწმობს რომ წლეულს მათ ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.**

წარმატებულთა შორის ყოველთვის გამოირჩევა „საქართველოს ბანკი“, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში 54 მილიონი ლარის მოგება ნახა. ამ მაჩვენებლის მიხედვით მას თიბისი ბანკი მოსდევს, რომელიც 20 მილიონი ლარით გამდიდრდა. (აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფითჩ რაითინგმა“ კვლავ დაადასტურა შარშან თიბისი ბანკისთვის მინიჭებული B+=ის კატეგორია, რაც ბანკის სტაბილური განვითარების პროგნოზს, ასევე მაღალი კაპიტალიზაციის, ლიკვიდურობის დონისა და მომგებიანობის პოზიტიურ შეფასებას ნიშნავს.) ორ ლიდერს 6 მილიონი ლარის მოგების მიღებით რამდენადმე ჩამორჩება პროკრედიტ ბანკი, რომელსაც 5-მილიონიანი მოგებით მიჯრით მიყვება ბანკი „ქართუ“, ხოლო მოწინავეთა ხუთეულის „ჩამკეტია“ ლიბერთი ბანკი, რომლის წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ შარშანდელი ანალოგიური პერიოდის 10 მილიონ ლარიანი ზარალით დასრულების შემდეგ წლეულს მოგების მაჩვენებელი დაახლოებით ორ მილიონ ლარამდე აიყვანა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული პერიოდი ერთიანად ყველა ბანკისთვის როდი იყო წარმატებული. ამ მხრივ ზარალიან ბანკთა მეტად არშესაშურ სიას სათავეში ბანკი რესპუბლიკა უდგას, რომლის ზარალმა სადღეისოდ 30 მილიონ ლარს მიაღწია, 12-მილიონი წაგებით მას ვითიბი ბანკი ჯორჯია მიჰყვება, რომელსაც ბითიეი ბანკი მოსდევს 10-მილიონიანი უარყოფითი სალდოთი. ასევე უარყოფითი, 3-მილიონი ბალანსი აქვს არაბულ ქეი ეს ბია ბანკს, ხოლო ზარალიან ბანკთა ნუსხაში ცალკე აღსანიშნავია ტაო პრივატ ბანკი, რომელმაც შარშანდელი უარყოფითი სალდოს 15 მილიონით შემცირება შეძლო და ახლა მისი წაგება მხოლოდ მილიონ ლარს შეადგენს ისევე, როგორც ეს ხალიკ ბანკ საქართველოს აქვს.

ბანკების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, მოგეხსენებათ, როგორც იურიდიული ასევე კერძო პირებისთვის კრედიტების გაცემა, რაშიც, ცხადია, მოგებას ნახულობენ. ბანკებისთვის ვალის დაბრუნებას ზოგი მსესხებელი დადგენილ ვადაში ვერ ახერხებს, რის შედეგად მისი ქონება კონკრეტული საფინანსო დაწესებულების ლიკვიდურ აქტივებში გადადის. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად აისახება ყოველივე ეს ამა თუ იმ ბანკის ფაქტობრივ ფულად აქტივებზე, მაგრამ ამჯერად ყურადღება გვინდა მივაქციოთ სხვა, ერთობ არასასიხარულო, მონაცემებს. არსებული ინფორმაციით, **ბოლო ერთ თვეში მოვალეთა რეესტრში აღრიცხულ პირთა რაოდენობა ერთნახევარჯერ გაიზარდა, რის გამოც სადღეისოდ აღსრულების ეროვნული ბიუროში საქმეს დაახლოებით 60 ათასი იურიდიული თუ კერძო პირის მიმართ აწარმოებენ.**

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ წლის დამდეგიდან, მოვალეთა ინსტიტუტის ამოქმედებიდან მოყოლებული, მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ბანკისთვის ვალის დათქმულ პერიოდში დაუბრუნებლობა ძალიან ხშირად მოვალის მთელი კუთვნილი ქონების გაყიდვით სრულდება, ვინაიდან თუ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში დავალიანება არ დაიფარება, აღმსრულებლებს შეუძლიათ, მოვალეს მხოლოდ ერთი თვის (ოთხი კვირისძ სარჩო-საბადებელი დაუტოვონ, დანარჩენი კი აუქციონზე გასაყიდად გაიტანონ, რაც „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით წესრიგდება. ამასთან ერთად, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონი ერთგვარად ცალმხრივია იმიტომ, რომ კერძოდ, **მოვალეთა რეესტრში არ აღირიცხება ის სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებსაც კონკრეტული იურიდიული თუ კერძო პირების მიმართ დავალიანება აქვთ.**

სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ სახელმწიფო არანაირად არ ზრუნავს უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ უამრავ მოვალეზე (წინააღმდეგ შემთხვევაში ეს, უწინარესად, შესაბამის კანონში უნდა იყოს ასახულიძ, რაც ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არა ერთიანად გაჭირვებული მოსახლეობის, არამედ კომერციული ბანკების მხარე უჭირავს, რაც სრულიად ნათლად ჩანს მისი სავსებით კონკრეტული ნაბიჯებით: **ბანკებს უცხოეთიდან მიღებული სახსრებიდანაც დაეხმარნენ და კუთვნილი თანხის ამოღების დროს დაწესებული გადასახადიც შეუმცირეს (?!).**

**იურისტები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ იპოთეკური სესხების გაფორმებისას ბანკები კლიენტებს ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მათთვის თავიდანვე არათანაბარ პირობებს სთავაზობენ, ამდენად კრედიტის გამოტანისას ამ უკანასკნელებს აუცილებლად კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას ურჩევენ.**

ოთარ ტურაბელიძე

◉ წინადადება

# ეს ავარიებს აგვარიდებს!

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციას

**19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, მაშინ როცა უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ლორიკ მარშანია, რომელიც ავტოსაგზაო კატასტროფას ემსხვერპლა, ჭირის სუფრიდან გამოსული რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი თვითონაც სასწაულებრივად გადავურჩით სიკვდილს.**

ეს ტრაგედია დიღმის ტრასაზე შეიძლებოდა მომხდარიყო, საიდანაც უკან, თბილისში უნდა წამოვსულიყავით. ჩვენი მანქანის საჭესთან მჯდარმა ჟურნალისტმა დაძვრისთანავე ჩართო მარცხენა შუქის მანიშნებელი და ნელ-ნელა, წესების სრული დაცვით, მიუახლოვდა მოსახვევს, რომ უკნიდან, მარცხენა მხარეს, უხეში დარღვევით, თავაწყვეტილმა „მერსედესმა“ მიმინოსავით ჩაგვიქროლა, ისე რომ ჩვენთან შეჯახებას ორი-სამი სანტიმეტრიღა დააკლდა... მოკლედ, უფლის ნებით 5 ადამიანი გადავრჩით...

ჩვენ დღეს იმაზე საუბარს არ დავიწყებთ, რომ მძღოლების ნაწილი, განსაკუთრებით ტრასებზე, ძალზე საშიში მანევრების უფლებას აძლევს თავს და ამით უამრავ ადამიანს უქმნის საფრთხეს, ამიტომ მივესალმებით იმ მძღოლთა მიმართ სხვადასხვა სანქციის გატარებას, მაგრამ როგორც ჩანს, მარტო ეს არ უშველის საქმეს. სწორედ ამ მიზნით, ვფიქრობთ, ერთ საინტერესო წინადადებას გთავაზობთ, რომელიც, ჩვენი აზრით, კონკრეტულად ასეთ შემთხვევებში, დიდ უბედურებას აგვაცილებს. იმ ადგილების წინ (და არა მარტო თბილისში!), ასე დაახლოებით 40-50 მეტრში, დავაგოთ ეგრეთ წოდებული სიჩქარის შემაფერხებელი შპალები, რომელთა გადავლა ფრიად უხერხულია და მძღოლები ძალაუნებურად ეცდებიან შპალების გვერდის ავლას, ანუ ასეთ ადგილებში არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხარეს ატარონ მანქანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი თქვენ გზიდან უკან მობრუნება გინდათ, დიდი ალბათობით, უკნიდან წამოსული ტრანსპორტი აღარ დაგეჯახებათ!

მერაბ ბერაძე,
ტელეჟურნალისტი

◉ უცხოური პრესიდან

# უმუშევრობა მსოფლიოში აბსოლუტურ რეკორდს ამყარებს




## შრომის მსოფლიო ორგანიზაციის ყოველწლიური მოხსენება

**უმუშევართა რიცხვმა პლანეტაზე 2009 წელს მიაღწია თითქმის 212 მილიონ კაცს (2007 წელს, კრიზისის წინა პერიოდში, დარეგისტრირებული იყო უმუშევრობის რეკორდული ზრდა – 34 მილიონ კაცამდე). ამის შესახებ არის ნათქვამი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში „გლობალური ტენდენცია დასაქმების სფეროში“, აცნობა ბელტას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საზოგადოებრივი სუბრეგიონარული ბიუროს ხელმძღვანელმა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ოლგა ბოგდანოვამ.**

ამრიგად, უმუშევრობა მსოფლიოში გაიზარდა 6,6 პროცენტით, მაგრამ მისი ზრდა სხვადასხვა რეგიონში ერთნაირი არ ყოფილა: 4,4 პროცენტიდან აღმოსავლეთ აზიაში 10 და მეტ პროცენტამდე ცენტრალური და სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და დსთ-ში, აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკაში. შარშან უმუშევრობის დონე სხვადასხვა ეკონომიკისა და ევროკავშირის სახელმწიფოებში ავარდა 8,4 პროცენტამდე (შედარებისთვის: 2008 წელს 6 პროცენტი, 2007 წელს 5,7 პროცენტიძ. ექსპერტების შეფასებით, უმუშევრობის რიცხოვნობა რეგიონში 2007-დან 2009 წლამდე გაიზარდა 13,7 მილიონზე მეტი კაცით, თანაც 2009 წელს იგი გაიზარდა თითქმის 12 მილიონით. დასაქმება მრეწველობაში შემცირდა უფრო მეტად, ვიდრე სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებზე დაყრდნობით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უმუშევრობა მსოფლიოში 2010 წელს შენარჩუნდება მაღალ დონეზე, როგორც ელოდებიან, განვითარებული ეკონომიკისა და ევროკავშირის ქვეყნებში ეგრეთ წოდებული ზედმეტი ხალხის რაოდენობა გაიზრდება კიდევ 5 მილიონი კაცით. სხვა რეგიონებში უმუშევრობა შემცირდება უმნიშვნელოდ, ანდა დარჩება წინანდელ დონეზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, 2009 წელს 2007 წელთან შედარებით ახალგაზრდა უმუშევართა რაოდენობა მსოფლიოში გაიზარდა 12,2 მილიონით – ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდაა 1991 წლიდან. უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის შარშან გაიზარდა 1,6 პროცენტით და მიაღწია 13,14 პროცენტს.

ამავე დროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კრიზისი თანაბრად აისახა დასაქმების სფეროში და სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში ბაზრების აღდგენის პერსპექტივაში. სახელმწიფოების მიერ მიღებული კოორდინირებული ზომები დაგვეხმარა თავიდან აგვეცილებინა გაცილებით უფრო სერიოზული სოციალური და ეკონომიკური კატასტროფები, და მაინც, მილიონობით მამაკაცი და ქალი მთელ მსოფლიოში უმუშევარია, არ ღებულობს დახმარებას უმუშევრობის გამო და არ სარგებლობს რაიმე ქმედითი სოციალური დახმარებით.

„დღეს პოლიტიკური პრიორიტეტია – უზრუნველვყოთ ეკონომიკური გაჯანსაღება სამუშაო ადგილების დაუკარგავად, – განაცხადა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ხუან სომავიამ. – საჭიროა მიღებულ იქნეს ასევე გადამჭრელი პოლიტიკური ზომები სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნებისათვის და ხალხის შემოსავლების შენარჩუნებისათვის, როგორც ის ზომები, რომლებმაც გადაარჩინეს საბანკო სისტემა. ამის მიღწევა შეიძლება, თუ წარმატებით შევუხამებთ ერთმანეთს სახელმწიფო პოლიტიკას და ინვესტიციების კერძო პროგრამებს“. მან დაუმატა, რომ ყოველწლიურად 45 მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი პირველად გამოდიან შრომის ბაზარზე, ამიტომ ეკონომიკის გაჯანსაღების ზომები უნდა ითვალისწინებდნენ სამუშაო ადგილების შექმნას ახალგაზრდობისთვის.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წელს 633 მილიონი მუშაკი და მათი ოჯახი დღეში ცხოვრობდნენ 1,25 დოლარზე ნაკლები თანხით, კიდევ 215 მილიონი 2009 წელს ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარზე, განწირული იყვნენ სიღარიბისთვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენება მოგვიწოდებს სასწრაფოდ შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემა ვრცელი მოცვის ბაზრით, რათა მოსახლეობის ღარიბი ფენები დაცული იქნენ ეკონომიკური არასტაბილურობის პერიოდში.**

შვილიშვილის სარჩელი

იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

## წინასიტყვაობა

### სტალინელები და ანტისტალინელები

2009 წლის 8-დან 13 ოქტომბრამდე მოსკოვის ბასმანის სასამართლოში მიმდინარეობდა რუსეთში პირველი სხდომა სტალინის პატივისა და ღირსების დასაცავად. სარჩელი შეიტანა სტალინის შვილიშვილმა ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილმა (სტალინის ომში დაღუპული უფროსი შვილის ვაჟიშვილმა). მოსარჩელეს წარმოდგენის ინიციატივა სასამართლოში იკისრა ლეონიდ ნიკოლოზის ძე ჟურამ, მე კი ავადმყოფობის გამო საქმეში ჩართვა შევძელი მხოლოდ საქმის მოსმენის დაწყების სტადიაში. ამ დროს მოსარჩელეს წარმომადგენელი გახდა სერგეი ემილის ძე სტრიგინიც. სარჩელი შეიტანეს „ნოვაია გაზეტას“ წინააღმდეგ ა.ი. იაბლოკოვის სტატიის – „ბრალდებულად დაინიშნა ბერია“ – გამო. ადრე მოპასუხეებს მესამე პირად მიუერთდა „მემორიალი“. შედეგად მოპასუხეთა გუნდი ადვოკატ ჰ.რეზნიკის ცხადი ხელმძღვანელობით შედგებოდა „მემორიალელთა“ 8 კაცისგან, „ნოვაია გაზეტას“ წარმომადგენლებისა და მათი ადვოკატებისგან:

1. რეზნიკი ჰენრი მარკის ძე, ადვოკატი, „მემორიალის“ წარმომადგენელი.
2. ხლებნიკოვი ოლეგ ნიკიტას ძე „ნოვაია გაზეტას“ თანამედროვე ისტორიის განყოფილების შეფ-რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი.
3. კოჟეუროვი იაროსლავ სერგის ძე, „ნოვაია გაზეტას“ სარედაქციო-საგამომცემლო სახლის წარმომადგენელი, იურისტი.
4. იაბლოკოვი ანატოლი იურის ძე, მოპასუხე, ადვოკატი.
5. ბინეცკი ალექსეი ედუარდის ძე, მოპასუხე, იაბლოკოვის ადვოკატი.
6. გურიანოვი ალექსანდრ ედმუნდის ძე, „მემორიალის“ წარმომადგენელი.
7. რაჩინსკი იან ზბიგენის ძე, „მემორიალის“ წარმომადგენელი.
8. პეტროვი ნიკიტა ვასილის ძე, „მემორიალის წარმომადგენელი.

სასამართლოში თავმჯდომარეობდა მოსამართლე ა.ს. ლოპატკინა, რომელმაც შეძლო მოსმენის ორ ათეულზე მეტი საათის განმავლობაში არ მიეცა არც ერთი შეკითხვა საქმის არსთან დაკავშირებით, საქმე კი თავის დეტალებში იყო მეტად რთული. მოსამართლის ასეთი ქცევის მიზეზად ორი რამ წარმოგვიდგენია – მოსამართლეს არც ესმოდა, რაზე დავობდნენ მოსარჩელეები და მოპასუხეები, და არც სჭირდებოდა ეს მას, ვინაიდან გადაწყვეტილება ისედაც უკვე მზად ჰქონდა, მას მხოლო ფორმალობა უნდა დაეცვა.

და აქვე უმალვე გაცნობებთ, სასამართლო სტალინის პატივისა და ღირსების დასაცავად ჩვენ წავაგეთ – ეს ცუდია!

მაგრამ ვინმეს უკვირს? მისი მოგება შეგვეძლო ამჟამინდელ რუსეთში? ცოტა მეცოდებიან ჩემი ამხანაგები პროტესტთან დაკავშირებით – ლ.ნ. ჟურა და ს.ე. სტრიგინი. ჩვენ ისე ძლიერი კოზირები გვქონდა, რომ იმათ, რომლებსაც მოსკოველ მოსამართლეებზე მხოლოდ გაგონილი თუ ჰქონდათ, არ შეეძლოთ დაეჯერებინათ, რომ ჩვენ წაგება შეგვეძლო. ჟურამ ჩემთან სანაძლეოც კი დადო, ჩვენ მოვიგებთო.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოსამართლემ გამოაცხადა გადაწყვეტილება – უარი ეთქვათ სარჩელზე. ცოტა კომიკურიც კი იყო, რომ რეზნიკი და ბინეცკი ყელის ჩახლეჩამდე კამათობდნენ – მოეთხროთ სასამართლოსთვის, თუ რა საშინელება იყო სტალინის დროს ცხოვრება. აქ კი უნდა შეხვიდე დარბაზში, მოისმინო მოსამართლის გადაწყვეტილება, მოსამართლეს ეშინია ხალხის და გასცა განკარგულება, რომ დარბაზში მორიგე ექვსმა შეიარაღებულმა ზედამხედველმა გაჩხრიკოს დარბაზში ყველა შემომსვლელი, ერთი წყვილი ზედამხედველი კი დადგა მასსა და ხალხს შორის დარბაზში. თანაც თავდაპირველად სასამართლოს ზედამხედველებმა მიიწვიეს სასამართლოს დარბაზში პროცესის მონაწილეები და პუბლიკა მოსამართლის გადაწყვეტილების მოსასმენად, რის შემდეგაც ორ წუთში გამოყარეს მთელი ხალხი დარბაზიდან. ამის შემდეგ დაიწყეს იმათი თითო-თითოდ შემოშვება და გაჩხრეკა! განა შეიძლებოდა ასეთი რამ სტალინის დროს, როდესაც სასამართლოებში სასამართლო ზედამხედველები არც იყვნენ, მით უმეტეს ჯავშანჟილეტებში, ხოლო მილიცია მიდიოდა პატრულში უიარაღოდ? ოი, როგორი „არასაშინელი“ გახდა ცხოვრება დღეს!

მაშ ასე, ჩვენ წავაგეთ – ეს ცუდია, მაგრამ კარგია ის, რომ ჩვენ მოვაწყვეთ სასამართლოს რეპეტიცია. და ამ რეპეტიციას ვთავაზობთ გასაცნობად ამ წიგნის მკითხველებს. გთავაზობთ ამ საქმეში გახდეთ „პატივცემული სასამართლო“ (სამოქალაქო პროცესში ასეა სავალდებულო მოსამართლისადმი მიმართვა) და თავად მიიღოთ გადაწყვეტილება ამ სასამართლოში სტალინის ბრალდებასთან დაკავშირებით, თავად გადაწყვიტოთ, დამნაშავეა თუ არა ის მისადმი ინკრიმინებულ დანაშაულობებში. არსებული კანონმდებლობით ხომ რუსეთის ყოველი მოქალაქე შეიძლება იყოს გამოძახებული სასამართლოში ნაფიც მსაჯულად, ე.ი. მოსამართლედ, ვინც განსაზღვრავს, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, თანაც სისხლის სამართლის საქმეში. შესაბამისად, ყოველ მკითხველს აქვს უფლება – ეს უტყუარია – თავად განიხილოს ყველა დამადასტურებელი საბუთი ამ სამოქალაქო საქმეზე და უფლება – თავად გადაწყვიტოს, ჩემი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე ხელმძღვანელის ბრალეულობის საკითხი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ გთავაზობენ უკვე დღეს შეხედოთ მხარეების ქცევას (ბრალდებისა და დამცველებისა) სტალინის თუ მისი ცილისმწამებლების სასამართლოზე, რომელიც აუცილებლად გაიმართება.

### საბაბი

სარჩელის შეტანა სტალინის პატივისა და ღირსების დასაცავად შეიძლება პრაქტიკულად მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაზე დღევანდელ რუსეთში და მრავალი საბაბით, ვინაიდან არ არის ადამიანი, ვისაც ცილს სწამებენ ასე მდაბიოდ და ასე ბოროტად. მაგრამ ლეონიდ ჟურამ სარჩელი შეიტანა მეტად ზუსტად (ჯერ „ნოვაია გაზეტაში“ დაწერა უარყოფა, მაგრამ მათ, „თავისუფლებამოყვარულებს“ სიტყვის თავისუფლება აქვთ მხოლოდ თავისიანებისთვის – ცილისმწამებლებისთვის). იმის გამო, რომ ამ სარჩელის განხილვის დროს სასამართლო სხდომაზე აუცილებლად უნდა წამოწეულიყო კატინის საქმე, რომელიც შეთხზულია პოლონელებისა და რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ ისე ტუტუცურად, რომ ამ მოღვაწეებს როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ სასამართლოში სიყალბის დეტალების განხილვისა.

მაშ ასე, იაბლოკოვის სტატიის – „ბრალდებულად დაინიშნა ბერია“ შინაარსი:

„სახელისუფლო ელიტის ჭეშმარიტი დამოკიდებულება სტალინიზმისადმი წარმოაჩინა გადაწყვეტილებამ „კატინის საქმესთან“ დაკავშირებით.

90-იანი წლების დასაწყისში მე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვმუშაობდი მთავარი სამხედრო პროკურატურის (მსპ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის განყოფილებაში. რეპრესირებულთა საქმეების გადახედვა კი ხდებოდა ინდივიდუალური წესით, მაგრამ უმთავრესად ეს იყო ფორმალური პროცესი, ვინაიდან პროკურატურაში დასაქმებული იყვნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნების მხოლოდ გაფორმებით – მოეხდინათ რეპრესირებულთა გარკვეული წრეების რეაბილიტაცია. ყოველ ასეთ საქმეზე არსებული მეთოდიკით საჭირო იყო გაგზავნილიყო მოთხოვნა უშიშროების ფედერალურ სამსახურში იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის გამომძიებელი, პროკურორი, ოპერატიული მუშაკი ან მოსამართლე იმ პირთა სიაში, ვინც დამნაშავეა მოქალაქეთა რეპრესიებში.

ვინ დააწესა ეს სია და რატომ ჰქონდა მის ცნობებს დამადასტურებელი მნიშვნელობა, რისთვის იყო საჭირო ეს მოთხოვნები, თუკი საქმეები და მათთან დაკავშირებული ფაქტები განიხილებოდა პროკურორების მიერ ხელახლა, რატომ არ შეიძლებოდა ამ სიების გამოქვეყნება ან თუნდაც მათი გადაცემა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში, რათა არ დაკარგულიყო დრო თითოეულ საქმეზე – ყველა ამ კითხვაზე პასუხი არ ყოფილა. ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო უშიშროების ფედერალურ ბიუროსთან, განიხილებოდა, როგორც პოლიტიკური ნება (გადაწყვეტილება), რომელიც განხილვას არ ექვემდებარებოდა.

ეს სია დახურული იყო არა მხოლოდ გამოქვეყნებისთვის, არამედ დამატებისთვისაც, ესე იგი პროკურორების მიერ დადგენილი ფაქტები გამოძიების, წამების, დამამცირებელი და სხვა რეპრესიების შესახებ რეპრესიებში დამნაშავე კონკრეტულ შემადგენლობაზე გავლენას უკვე აღარ ახდენდა.

გამონაკლისები ამ წესიდან ხდებოდა იმავე მაკონტროლებელი ორგანოების ინიციატივით. მაგალითად, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული ჯგუფის ხელმძღვანელი პაველ სუდოპლატოვი, რომელსაც ევალებოდა სკპ (ბ) პოლიტბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე არასასურველ პირთა საიდუმლო განადგურება, რეპრესირებული იყო ბერიას და მის ხელქვეითთა წინააღმდეგ ცნობილ საქმესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი დრო დაჰყო თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. საბჭოთა პერიოდში, ფაქტობრივი პარტიულ-ჩეკისტური ორხელისუფლებიანობის დროს, სუდოპლასტოვის მცდელობებმა – მიეღწია რეაბილიტაციისთვის, ფიასკო განიცადა. მაგრამ უკვე 90-იან წლებში ის, რომ მან მაშინაც კი, როდესაც მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდა აღკვეთის ადგილებში და არ გასცა თანამონაწილეები სისხლიან წარმოებაში და გაანადგურა დოკუმენტების უმრავლესობა განხორციელებული ოპერაციების შესახებ, ღირსეულად დააფასა ახალმა ხელისუფლებამ. სუდოპლასტოვი იქნა არა მხოლოდ რეაბილიტირებული, არამედ განადიდეს როგორც რუსული დაზვერვის გენიოსი და ჩეკისტური იდეალებისადმი ერთგულების ნიმუში.




სტალინი და ჩეკისტები გაისვარნენ დიდ სისხლში, უმძიმეს დანაშაულებში, უწინარეს ყოვლისა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

სტალინის ტერორის კონკრეტულ მექანიზმზე კი მე შევძელი, გამეგო „კატინის საქმის“ გამოძიების დროს.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმებით გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირს, მიუხედავად პოლონეთთან მოქმედი ხელშეკრულებისა თავდაუსხმელობის შესახებ, მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის მხარეს პოლონეთზე თავდასხმაში. მას შემდეგ, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ დაიწყო ომი პოლონეთთან, სსრ კავშირი, გერმანიის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, 1939 წლის 17 სექტემბერს შეიჭრა პოლონეთში და დაიკავა გერმანიასთან მოლაპარაკებული პოლონეთის ტერიტორია. ამ მოქმედებათა დროს ტყვედ აიყვანეს 250 ათასი პოლონელი. მათგან 14700 კაცი განათავსეს შინსახკომის კოზელის, სტარობელსკისა და ოსტაშკოვის ბანაკებში, 11 ათასი კი – დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელარუსის ციხეებში.

1943 წელს სმოლენსკის ოლქის კატინის ტყეში გერმანელებმა აღმოაჩინეს პოლონელი ოფიცრების ნეშტები. საბჭოთა სახელმწიფომ კი უმალვე დასდო ბრალი ფაშისტური გერმანიის 11 ათასი პოლონელი ოფიცრის მკვლელობაში, რომლებიც იყვნენ შინსახკომის სამ ბანაკში.

1989 წლის ოქტომბერში პოლონეთის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ა. ჰერცოგმა წერილით მიმართა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ა.ი. სუხარევს, რომელ წერილშიც სხვა საკითხებთან ერთად სთხოვდა მას აღეძრა სისხლის სამართლის საქმე პოლონელი ოფიცრების მკვლელობის შესახებ კატინში და სხვა ჯერ დაუდგენელ ადგილებში. 1990 წლის 11 იანვრის წერილში სუხარევმა დაადასტურა ოფიციალური საბჭოთა პოზიცია: პოლონელი ოფიცრები კატინში დახვრიტეს ფაშისტმა გერმანელმა დამპყრობლებმა. ჰერცოგი ამას არ დაეთანხმა და თავისას არ გადადიოდა, მიუთითებდა იმას, რომ 1990 წლის აპრილში მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და პოლონეთის პრეზიდენტებს შორის გამოცხადდა იმ დოკუმენტების აღმოჩენის შესახებ, „რომლებიც ირიბად, თუმცა დამაჯერებლად მოწმობენ იმის შესახებ“, რომ პოლონეთის ათასობით მოქალაქე, რომლებიც ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ გახდნენ ბერიასა და მისი ხელქვეითების მსხვერპლი“, აგრეთვე მოიყვანა საბჭოთა პრესის პუბლიკაციები, რომლებიც ადასტურებენ შინსახკომის როლს პოლონელთა დახვრეტაში.

1990 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები პოლონელი სამხედრო ტყვეების შესახებ, რომლებიც ჰყავდათ შინსახკომის სამ ბანაკში. საქმეები გამოსაძიებლად აიღო მთავარმა სამხედრო პროკურატურამ. გამოძიების დროს დადგინდა, რომ მართლაც 14700 პოლონელი სამხედრო ტყვე შინსახკომის სამი ბანაკიდან და 7305 პოლონელი მოქალაქე, რომლებიც იყვნენ დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელარუსიის ციხეებში, 1940 წლის სკპ (ბ) პოლიტბიუროს აპრილ-მაისის დადგენილებით დახვრიტეს სსრ კავშირის შინსახკომის თანამშრომლებმა და დამარხეს უკრაინის შინსახკომის აგარაკების ტერიტორიებზე და სხვა ადგილებში.

1992 წლის ოქტომბერში პირველად გამოაქვეყნეს „განსაკუთრებული საქაღალდის“ დოკუმენტები, რომლებიც ინახებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივში კრემლში. მათ შორის სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტის შესახებ სტალინის, ვოროშილოვის, მოლოტოვისა და მიქოიანის პირადი ხელმოწერებით, აგრეთვე კალინინისა და კაგანოვიჩის შენიშვნებით – „თანახმა ვარ“, ბერიას წერილი სტალინისადმი 1940 წლის მარტით დათარიღებული, ა.ნ. შელეპინის 1959 წლის 3 მარტის წერილი ნ.ს. ხრუშჩოვისადმი და სხვა დოკუმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტების სისწორეს ადასტურებდნენ სსრ კავშირის შინსახკომის ყოფილი თავმჯდომარე შელეპინი, სსრ კავშირის შინსახკომის სამხედრო ტყვეთა საქმეების სასამართლოს ყოფილი უფროსი სოპრუნენკო, უკრაინის შინსახკომის კალინინის ოლქის უფროსი ტოკარევი და სხვები, ამ დოკუმენტების სისწორე კიდევ დამატებით გულდასმით იქნა შესწავლილი.

## შვილიშვილის სარჩელი

1992 წლის დეკემბრის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტის არქივში, არქივის სპეციალისტებთან ერთად, მოვაწყე ამ დოკუმენტების დათვალიერება. შემდეგ სასამართლო ექსპერტების მონაწილეობით დაინიშნა და მოეწყო საკომისიო, სასამართლო, ტექნიკური და ხელწერამცოდნეობის ექსპერტიზები, რომლებმაც დაადასტურეს ამ დოკუმენტების ნამდვილობა, აგრეთვე, რომ ხელმოწერები, რომლებიც შესრულებულია ამ დოკუმენტებზე სტალინის, ვოროშილოვის, მოლოტოვის, მიქოიანის, ბერიას სახელით, ეკუთვნის სწორედ ამ პირებს. ყველა დოკუმენტი მივაკერეთ სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებად და შესანახად გადავეცით არქივის ხელმძღვანელობას.

პირველად იქნა დოკუმენტურად დადასტურებული, რომ კატინის დანაშაულის დაახლოებით 22 ათასი მსხვერპლი სიკვდილით დასაჯეს სკპ(ბ)ძ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით – პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით, როგორც „საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელი მტრები... ეროვნებით 97 პროცენტზე მეტი პოლონელი“. ამ მასობრივი მკვლელობის ვითარება დასტურდება არა მხოლოდ ამ დოკუმენტებით, არამედ მოწმეების ჩვენებებით და დაკრძალვის ადგილებში ექსგუმაციის მასალებითაც.

2004 წლის 21 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ შეწყვიტა „კატინის საქმე“ დამნაშავეთა გარდაცვალების გამო. მიუხედავად სკპ (ბ)ძ პოლიტბიუროს მონაწილეობის უდავო დადასტურებისა პოლონეთის 22 ათასი მოქალაქის განადგურებაში, დამნაშავეებად აღიარეს სხვა პირები. როგორც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებიდან ჩანს, რომლის რეზოლუციური ნაწილიც გამოცხადდა პრესკონფერენციის დროს, დამნაშავეებად მიჩნეული იქნებიან „სსრ კავშირის მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირები“, რომელთა საქმიანობაც კვალიფიცირდება რსფსრ სისხლის სამართლის 193-17 მუხლის „ბ“ პუნქტით (რუსეთის წითელი არმიის ხელმძღვანელი შემადგენლობის მიერ უფლებების გადაჭარბება, რასაც ჰქონდა მძიმე შედეგები განსაკუთრებულად დამამძიმებელ ვითარებაშიძ. იმ პირთა კონკრეტული შემადგენლობა, ვინც დამნაშავე იყო ამ ბოროტმოქმედებაში, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა გასაიდუმლოებულ იქნა.

ამრიგად, სტალინი და სკპ (ბ)ძ პოლიტბიუროს წევრები, რომლებმაც გამოიტანეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება პოლონელთა დახვრეტის შესახებ, გადაურჩნენ მორალურ პასუხისმგებლობას უმძიმესი დანაშაულისთვის. მიუხედავად დადგენილი ფაქტებისა, წინ იყო წამოწეული პოლიტიკური გადაწყვეტილება: პოლონელთა დაღუპვაში დამნაშავენი არიან მხოლოდ „ბერია და მისი ხელქვეითები“.

მაგრამ სახელმწიფოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელების დანაშაულის მაღიარებელმა ასეთმა გადაწყვეტილებამაც კი არ გამოიწვია ყველა დახვრეტილი პოლონელი მოქალაქის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ავტომატური ოფიციალური აღიარება. უფრო მეტიც, დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების ნათესავთა პირდაპირ მიმართვაზე რეაბილიტაციის შესახებ, „პოლიტიკური რეპრესიების შესახებ“ კანონის დარღვევით, რუსეთის პროკურატურიდან და სასამართლოებიდან მოდის მხოლოდ უარყოფითი პასუხები. და ეს მაშინ, როდესაც ხდება დაუყოვნებლივი რეაბილიტაცია ისეთი მოღვაწისა, როგორიცაა პაველ სუდოპლატოვი. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ არა კანონისა და სასამართლოს დარგში, არამედ სახელისუფლებო ელიტის განწყობილებაში.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივში არის დაახლოებით 3 ათასი ასეთი განსაკუთრებული საქაღალდე განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტებით. სამხედრო პროკურატურის გამომძიებელთა მიმართვები ხელისუფლებისადმი ამ დოკუმენტების შემოწმების შესახებ სტალინიზმის სხვა დანაშაულობათა გამოსავლენად უყურადღებოდ დარჩა.

უკვე არაა საჭირო „პოლიტიკური ექვსეულები“ დასახელდნენ დამნაშავეებად ყველა სისხლიან დანაშაულში. ყოფილი ხალხთა მამა, სინამდვილეში კი სისხლისმსმელი კაციჭამია, აღიარებულია „ეფექტიან მენეჯერად“.

აი რას ვფიქრობ სტალინისა და სტალინიზმის სასამართლოს პერსპექტივის შესახებ თანამედროვე რუსეთში“.

მაგრამ მანამ, სანამ დავიწყებდეთ კერძოდ სამოქალაქო საქმის განხილვას, აუცილებლად მიმაჩნია, თუნდაც მოკლედ გავერკვეთ საკითხში, თუ ვინ არიან „სტალინელები“ და „ანტისტალინელები“.

## სტალინიზმი – ეს ჩვენ თვითონ შეგვიძლია!

ჰ. რეზნიკმა რია „ნოვოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა: „მოსარჩელეებმა პროცესი გამოიყენეს, როგორც თავიანთი სტალინური შეხედულებების ტრიბუნა. სტალინი გარდაიცვალა, მაგრამ „სტალინშჩინა“ ცოცხლობს!“ – და მასთან დავას არ დავიწყებ. თუმცა, გულზე ხელი რომ დავიდო, ჩვენ უკვე ვცდილობდით შემოგვეტრიალებინა პროცესი ისე, რომ ის ყოფილიყო საქმეზე – ფაქტებზე გამოცხადებული მოთხოვნებით. და ეს მოპასუხეები მთელი სასამართლოს განმავლობაში ლექავდნენ ერთსა და იმავეს სტალინიზმის საშინელებათა შესახებ. რამდენიც გინდა იტრიალე, მაგრამ ჩვენც იძულებული ვიყავით, ავცდენოდით საკითხს და გაგვეცა პასუხები ამ საშინელებებზე.

სხვათა შორის, თუ სტალინიზმზე დავიწყებთ საუბარს, მაშინ პროცესზე ნათლად ამოტივტივდა, რომ სწორედ ამაში იგულისხმებოდა რეზნიკისმაგვარი „ტუსოვკა“. ეს არ არის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ასპექტები. ჯერ ერთი, ამგვარი საკითხები მათ გონებას არ შეესაბამება (საჭირო სიტყვები მათ კი იციან, მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვები – არაძ. მეორეც, აქ იმდენად დიდია სტალინიზმის უპირატესობა, რომ მათ სალაპარაკოც აღარაფერი აქვთ. მაგრამ სტალინიზმი არის ისეთი რამეები, რომლებიც მათ მტკიცედაც იციან, და ესმით კიდეც მტკივნეული პასუხისმგებლობით, – სტალინიზმის დროს ისეთები, როგორებიც ისინი არიან, უკეთეს შემთხვევაში, დასაქმებული იქნებოდნენ ტყის ჭრაში, როგორც ამას მათი წინამორბედები აკეთებდნენ გულაგში. ესეც დიდი იღბალი იქნებოდა მათთვის, ვინაიდან ისეთებს, როგორებიც ისინი არიან, ხვრეტდნენ კიდეც. ესენი არიან ვირთხები, რომლებიც თავიანთი უგუნურობით, არამზადობითა და გაუმაძღრობით აღმოჩნდნენ მიყრილი კუთხეში დღევანდელი რუსეთისა, რომელიც იწყებს იმის გაგებას, თუ რა ჩაიდინეს ამ ანტისტალინელებმა სსრ კავშირის ხალხის მიმართ.

მათთან დაკავშირებით გასაგებია, მაგრამ რისთვის სჭირდება ანტისტალინიზმი დასავლეთს? მან რატომ გამოკვება და კვებავს ამ მემორიალებს და სამართალდამცველებს მათი ანტისტალინიზმით? რატომ უხდის საფასურს და თავადაც ეწევა აღვირახსნილ ცილისწამებას სტალინზე?

ანტისტალინიზმი ხომ გუშინ არ დაწყებულა: მან აშკარად წარმოაჩინა თავი უკვე გასული საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდში, 1965 წლიდან კი, როდესაც მიმდინარეობდა ორი სისტემის თავგანწირული იდეოლოგიური ბრძოლა, სსრ კავშირში ანტისტალინიზმი გახდა ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა. და ყველაფერი, რაც ერთ სისტემაში მიჩნეული იყო პლუსად, მეორეში ფასდებოდა მინუსად, და პირიქით. ჩვენთან მედიცინა უფასოა, იმათთან ის ხარისხიანია. ჩვენთან განათლება უფასოა, იმათთანაც თითქმის უფასოა, მაგრამ უკეთესი. ჩვენთან არ არის უმუშევრობა, იმათთან უმუშევრობის დახმარება უფრო მეტია, ვიდრე ჩვენთან ხელფასი. ჩვენთან გაგარინი კოსმოსში გაფრინდა, იმათთან ყოველ ოჯახში არის ავტომობილი, ისინი მთვარეზე დასხდნენ, ჩვენ კი ხალხს ვუფრთხილდებით. და ასე ყველაფერში. ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვუწოდებთ სსრ კავშირს, ისინი კი – რუსეთს. მე ერთი დამცინავი ამერიკული ანეკდოტი ვიცი ამასთან დაკავშირებით. ორი ამერიკელი ტელევიზიით უყურებს საფეხბურთო მატჩს საბჭოთა ფეხბურთელების მონაწილეობით, რომლებსაც მაისურებზე აწერიათ „CCCP“. ერთი ეკითხება მეორეს – რომელი ქვეყნისაა ეს გუნდი? მექსიკისა – ავტორიტეტულად უპასუხებს მეორე, ხომ ხედავ მაისურებზე აწერიათ: „კუკუ რუ კუ-კუ, პალომა“! (ასე გაისმოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში პოპულარული სიმღერის მინამღერიძ. ხოლო თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ამერიკაში ისინი, ვინც ამბობდა არა რუსეთს, არამედ „საბჭოთა კავშირს“, ითვლებოდნენ მემარცხენეებად, და ასეთებიც იყვნენ.

და პროპაგანდისტული ბრძოლის ფორმალური ლოგიკითაც, თუ სკკ პარტიამ XX ყრილობაზე დაიწყო ბრძოლა სტალინიზმთან, მაშინ დასავლეთი ვალდებული იყო მხარი დაეჭირა სტალინისთვის. მაგრამ დასავლეთი ფორმალურად არ მოქცეულა, მან სიხარულით დაუჭირა მხარი ხრუშჩოვსა და მის „ექვსდერასტს“. რატომ?

მოდით, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ. დასავლეთი მტერია? ვინ იყო ჩვენი ყველაზე საშიში მტერი დასავლეთში? ჰიტლერი. რას უნერგავდა ის ჩვენს შესახებ „ცივილიზებულებს“? მე ბევრჯერ მომიყვანია ჰიტლერის ციტატები, მაგრამ არის ბევრი რამ, რაც ტვინში უნდა ჩაუჭედო რუსებს. ჰიტლერი წერდა და თავად გამოყოფდა:

**„ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები, სრულიად შეგნებულად ვუსვამთ ჯვარს ომამდელი დროის მთელ გერმანულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ გვინდა დავუბრუნდეთ იმ პუნქტს, რომელზეც შეწყდა ჩვენი ძველი განვითარება 600 წლის წინათ. ჩვენ გვინდა შევაჩეროთ მარადიული გერმანული სწრაფვა ევროპის სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ და გარკვევით მივუთითებთ იმ ტერიტორიებისაკენ, რომლებიც აღმოსავლეთში მდებარეობენ. ჩვენ საბოლოოდ ვწყვეტთ კავშირს ომამდელი დროის კოლონიურ და სავაჭრო პოლიტიკასთან და შეგნებულად გადავდივართ ევროპაში ახალი მიწების დაპყრობის პოლიტიკაზე.**

**როდესაც ვლაპარაკობთ ევროპაში ახალი მიწების დაპყრობაზე, ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია ვიქონიოთ მხედველობაში პირველ რიგში მხოლოდ რუსეთი და ის განაპირა სახელმწიფოები, რომლებიც მას ექვემდებარებიან“.**

შევჩერდეთ, რათა გავიაზროთ ნათქვამი. ჰიტლერმა გადაწყვიტა დაეპყრო რუსეთი (სსრ კავშირიძ. რატომ? რა, ჩვენ უფრო შესანიშნავი მიწები გვაქვს, ვთქვათ, ვიდრე გერმანიის მეზობელ საფრანგეთს ან ჰოლანდიას? თუ კლიმატი უკეთესია და ჩვენთან ზეთისხილი და ნუში ხარობს, როგორც საბერძნეთში ან იტალიაში? თუ ჩვენთან მოსკოვის გარეუბნებში გლეხებს მოჰყავთ ისეთივე შესანიშნავი ყურძენი და ფორთოხალი, როგორც ესპანეთსა და პორტუგალიას? რა ჯანდაბად უნდა ჩვენსკენ მოწოლა? და ჰიტლერი განმარტავს, რომ მას რუსეთისკენ უბიძგებს არა სიხარბე, არამედ ჩვენი, რუსების... სიბრალული.

**„თავად ბედი მიგვანიშნებს თითით. როდესაც ბედმა რუსეთი ბოლშევიზმის ხელში გადასცა, ბედმა წაართვა რუს ხალხს ის ინტელიგენცია, რომელსაც დღემდე ემყარებოდა მისი სახელმწიფო არსებობა და რომელიც მხოლოდ ერთი იყო სახელმწიფოს ცნობილი სიმტკიცის საწინდარი“.** თუ მიგაჩნიათ, რომ ჰიტლერი ინტელიგენციად მიიჩნევდა ვიღაც გუმილიოვ-ბუნინებს, მაშინ ცდებით. ჰიტლერი მათ კაპიკადაც არ აფასებდა. ის განმარტავს, თუ ვინ დაკარგა რუსეთმა ბოლშევიკების გამო.

**„სლავების სახელმწიფო ნიჭმა როდი მისცა რუსეთის სახელმწიფოს ძალა და სიმტკიცე. ყოველივე ამაში რუსეთი ვალში იყო გერმანელი ელემენტების წინაშე, – „იმ უზარმაზარი სახელმწიფო როლის საუცხოო მაგალითი, რომელიც შეიძლება შეასრულონ გერმანელმა ელემენტებმა, როდესაც უფრო დაბალი რასის შიგნით მოქმედებს. სწორედ ასე შეიქმნა ძლიერი სახელმწიფოები დედამიწაზე. ისტორიაში არაერთგზის გვინახავს, თუ უფრო დაბალი კულტურის ხალხები, რომელთა სათავეშიც როგორც ორგანიზატორები იდგნენ გერმანელები, როგორ გადაიქცნენ უძლიერეს სახელმწიფოებად და შემდეგ კი იდგნენ მყარად ფეხზე, ვიდრე შენარჩუნებული იყო გერმანელთა რასობრივი ბირთვი. ასეული წლების განმავლობაში რუსეთი ცხოვრობდა სწორედ გერმანული ბირთვის ხარჯზე მისი მოსახლეობის უმაღლეს ფენებში. ახლა ეს ბირთვი განადგურებულია მთლიანად და ბოლომდე. გერმანელთა ადგილი ებრაელებმა დაიკავეს. მაგრამ როგორც რუსებს არ შეუძლიათ საკუთარი ძალებით მოიშორონ ებრაელთა უღელი, ისე ერთ ებრაელს არ შეუძლია დიდხანს ჰყავდეს თავის დაქვემდებარებაში ეს უზარმაზარი სახელმწიფო. თავად ებრაელებიც სულაც არ არიან ორგანიზაციის ელემენტი, უფრო დეზორგანიზაციის ფერმენტები არიან. აღმოსავლეთის ეს გიგანტური სახელმწიფო გარდაუვალად არის განწირული დასაღუპავად“.**

ჰიტლერის იდეის არსი: ჩვენ, რუსები – არ ვართ სრული ადამიანები, ჩვენ არ შეგვიძლია არა თუ გამოვიგონოთ რაიმე სასარგებლო, ჩვენ არ შეგვიძლია ელემენტარულიც – რაც შეექლო ეთიოპიელებს უკვე 2,5 ათასი წლის წინათ – საკუთარი სახელმწიფოს შექმნა. და თუ ჩვენ გვქონდა სახელმწიფო, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ, რუსები მივხვდით, გვეთხოვა გერმანელებისთვის, ემართათ ჩვენი თავი. ბოლშევიკებმა გერმანელები გაყარა რუსეთიდან, და რუსი ხალხი იძულებული იყო, ეთხოვა ებრაელებისთვის, ემართათ იგი. რა უნდა აიღო რუსებისგან – მონებისგან, არასრული ადამიანებისგან? უდიერები, მონები, უუნაროები! და ჰიტლერს მოჰყავდა გერმანელები ჩვენს გასაბედნიერებლად: მან დაიწყო ომი ჩვენს წინააღმდეგ ჰუმანიტარული მიზნებით – რომ გადავერჩინეთ უბედურები, რომ ებრაელები გერმანელებით შეეცვალა.

თქვენ იტყვით, რომ გერმანელები დაავადებული იყვნენ რასიზმით, მე კი შეგეკითხებით – რა, ისინი უკვე გამოჯანმრთელდნენ? და განა მარტო გერმანელები არიან ავად? ანგლოსაქსები? უბრალოდ, საჭიროა შევხედოთ, როგორ არიან მათს ფილმებში წარმოდგენილი რუსები, და გონიერი კაცისთვის ეს საკმარისი იქნება. ებრაელები? მათ ხომ რასიზმი ყველაზე მძიმე ფორმაში აქვთ – ისინი მხოლოდ ზევიდან არიან თეთრ-ცისფერი, შიგნით – ყავისფერები არიან.

ის, რომ ჰიტლერი ჩვენ გვიყურებდა, როგორც მონებს, არ არის პროპაგანდისტური ხერხი – ეს მისი, გერმანელის, არსია – გერმანელისთვის არ არის საჭირო, დაარწმუნო და აუხსნა, რომ მას დაბადებიდან აქვს უფლება იდგეს რუსებზე მაღლა. გერმანელმა იცის, ისევე როგორც ებრაელმა, რომ ის ყველაზე ჭკვიანია, რომ რუსები მის წინაშე ვალში არიან, ვინაიდან ისინი მხოლოდ მონების როლში ვარგანან. დიახ, რასაკვირველია, თუ რასისტებს რაღაცა უნდათ, ისინი პირში დაგიწყებენ ქებას, დაგიძახებენ „კულტურულ ადამიანს“, მაგრამ მათ ხომ იციან, ვინ ხარ შენ, რუსი, სინამდვილეში. კარიკატურულია, მაგრამ არსებითად ეს ნაჩვენებია ი. გაშეკის რომანში „ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიკის თავგადასავალი“.

**„გააღვიძეს ებრაელებიც ფუნდუკში, მან დაიწყო კიკინების გლეჯა და წუხდა, რომ არ შეუძლია მოემსახუროს პან ჯარისკაცებს, ბოლოს კი გადაეკიდა მათ, სთხოვდა ეყიდათ მისი ბებერი, ასი წლის ძროხა, გამხდარი, გაძვალტყავებული: მარტო ძვალი და ტყავი. ის მასში ითხოვდა უამრავ ფულს, იგლეჯდა წვერს და იფიცებოდა, რომ ამნაირ ძროხას ვერ იპოვიდნენ მთელს გალიციაში, მთელს ავსტრიასა და გერმანიაში, მთელს ევროპასა და მთელს მსოფლიოში. ის ბღაოდა, ტიროდა და ღმერთს იფიცებდა, რომ ეს ყველაზე მსუქანი ძროხაა, რომელიც იეღოვის ნებით ოდესმე გაჩენილა დედამიწაზე. იფიცებოდა ყველა პაპის პაპას, რომ ამ ძროხის სანახავად მოდიან თვით ვოლოჩისკიდან, რომ მთელ მხარეში დადის ხმები, რომ ეს არ არის ძროხა, არამედ ყველაზე მსუქანი კამეჩი. ბოლოს და ბოლოს ის დაეცა მათ წინაშე და ეხვეოდა მუხლებზე ხან ერთს, ხან მეორეს, გაიძახოდა: „ჯობია, მოკლათ ბებერი უბედური ებრაელი, მაგრამ უძროხოდ არ წახვიდეთ“.**

**ზურაბ ლომიძის**
**თარგმანი.**

(გაგრძელება იქნება)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჯაშუშების რესპუბლიკა

**შავი ზღვის სანაპიროზე ახლადარემონტებული პანსიონატის ბაღში შუა დღისას ზის რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსი ოფიცრების კომპანია. ისინი იღებენ არყიან ჭიქებს და სვამენ თავისი მომავალი შვებულების სადღეგრძელოს აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში – სტალინური ელიტის დასვენების საუკეთესო ადგილზე. ამას წინათ აფხაზეთმა მიიღო ნომინალური დამოუკიდებლობა, მაგრამ სამაგიეროდ გადაიქცა რუსეთის კოლონიად, რომელიც 2008 წელს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აღიარა საქართველოდან გამოყოფილ რესპუბლიკებად და დღეს აქ თავს გრძნობს, როგორც სახლში**

მასპინძელი, გაგრის კურორტების დეპარტამენტის პრივატიზაციისა და ინვესტიციის უფროსი ალექსანდრ ციშბა გამოიყურება კმაყოფილად. 15 წლის ეკონომიკური ბლოკადის დროს საქართველოს მხრიდან აფხაზეთში პრაქტიკულად არ მიდიოდა ინვესტიციები, დაცარიელებული იყო მისი კურორტები, ეკონომიკამ კი – ერთი მუშა საწარმოების გარდა, რომლებიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის კონტროლის ქვეშ იყვნენ, – განიცადა სტაგნაცია. ამჟამად, როდესაც აფხაზეთში განლაგდა 3 ათასი რუსი ჯარისკაცი, ციშბას ძველმა მეგობრებმა უშიშროების ფედერალური სამსახურიდან დაიწყეს ამბოხებული რესპუბლიკის საუკეთესო უძრავი ქონების შესყიდვა. „აფხაზეთში უძრავი ქონება რომ შეიძინონ, ისინი იყენებენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რაც ჩამოყალიბდა ხანგრძლივი კონტაქტების წყალობით“, ამბობს იგი ღიმილით.

აფხაზეთთან „განსაკუთრებული ურთიერთობანი“ რუსეთის სპეცსამსახურებს ჩამოუყალიბდათ ჯერ კიდევ საბჭოთა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის დროს, დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ 1991 წელს რეგიონი არ გამოეყო საქართველოს. სტალინის დროიდან ნათესავებს შორის ყოველ მეორე ოჯახში აფხაზეთში იყო ან უშიშროების სახელმწიფო ოფიცერი, ან საიდუმლო აგენტი, ან დამსმენი. როგორც ყოფილმა აგენტებმა გვაცნობეს, მოსკოვმა ერთ ციცქნა ამიერკავკასიის პროვინციას მიანიჭა განსაკუთრებული სტატუსი – ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, – რათა უშიშროების კომიტეტს შეძლებოდა, აეგო პალმებით შემკულ ზღვისპირა ბულვარში სოხუმში თავისი სიმპათიური შტაბ-ბინა. ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად ტრაბახობენ, რომ „აფხაზეთი ამყარებდა მსოფლიო რეკორდებს ერთ სულ მოსახლეზე საიდუმლო აგენტების რაოდენობის მხრივ“, – გვიამბობს ლავრიკ მიქვაბია, აფხაზეთის მესაზღვრეების პოლკოვნიკი. სამვარსკვლავიანი გენერალი ვლადიმერ რუბანოვი კი, რომელიც ოდესღაც სათავეში ედგა უშიშროების კომიტეტის ანალიტიკურ სამმართველოს, გვეუბნება, რომ „უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი აფხაზეთში ყოველთვის იყო განსაკუთრებულ მდგომარეობაში. როდესაც აქ ჩამოვდიოდი შვებულების გასატარებლად და ვსვამდი ლუდს მეგობართან ერთად, ჩვენ არ ვიხდიდით ლუდის საფასურს არც კიბორჩხალისას – მხოლოდ ჩვენს მოწმობებს ვუჩვენებდით“.

კავკასიაში პატივს სცემენ ტრადიციას. ამიტომ არავინ გაოცებულა იმის გამო, რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა, როგორც უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მემკვიდრემ, მიიღო სანატორიუმი „შუქურა“ – ყოფილი სარეაბილიტაციო ცენტრი უშიშროების სახელმწიფო აგენტებისთვის. არც იმან, რომ უშიშროების ფედერალური სამსახურის იმ თანამშრომელთა ოჯახებმა, ვინც იცავს პრეზი-



დენტს და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, დაიწყეს აქ ზაფხულის გატარება ხრუშჩოვის ყოფილ აგარაკზე – უზარმაზარ, კარგად დაცულ სანაპირო ბაზაზე ბიჭვინთაში, რომლის ტერიტორიასაც 10 კილომეტრზე მეტი უკავია. ახლა ყოველივე ამის დამატებით აფხაზეთში გაჩნდა უშიშროების ფედერალური სამსახურის მრავალი ყოფილი და მოქმედი ოფიცერი, რომლებსაც აღებული აქვთ ან პრივატიზებული საუცხოო სასტუმროები, სანატორიუმები და აგარაკები ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში.

ორი წლის განმავლობაში, რომლებიც გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამხედრო გზით „გაათავისუფლა“ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისგან, ამ ორი ოლქის რუსიფიკაცია წავიდა კიდევ უფრო ინტენსიურად. აფხაზეთის პრაქტიკულად ყველა ყველაზე ცნობილი არქიტექტურული ძეგლები რუსეთის ინვესტორების ხელში აღმოჩნდა: მეცხრამეტე საუკუნეში აგებული ოლდენბურგის პრინცის სასახლე, ოლღას სასახლე, კიდევ ერთი ელეგანტური სასახლე მავრიტანული სტილისა ქალაქის თავზე რომ არის წამომართული, და ყველაზე ძველი ღირსშესანიშნაობა გაგრისა – ძველი სპარსული ციხე სიმაგრე, რომელიც მეოთხე – მეხუთე საუკუნეებს განეკუთვნება. სანაპიროს გასწვრივ შენდება თვალისმომჭრელი შენობები, ისეთები, როგორიცაა შარშან იანვარში გახსნილი სასტუმრო „დელფინი“. ბიჭვინთის ტურისტული დარგი გამოდის მრავალწლიანი ომისშემდგომი კომადან, და ციშბა, გაგრის პრივატიზაციის ლიდერი, ქალაქს ამაყად უწოდებს „უშიშროების ფედერალური სამსახურის საუცხოო კურორტს“.

სასტუმრო „დელფინის“ მმართველი ალექსანდრ ჩუკბარი მას ეთანხმება. მაგრამ ამავე დროს ფრთხილად აღნიშნავს, რომ ახალი მფლობელები „ეს ის ხალხი არ არის, ვისთანაც შეიძლება უბრალოდ მიხვიდე და დაელაპარაკო“ (საბჭოთა პერიოდში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი იყო სახელმწიფო სახელმწიფოშიძ. ამჟამად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ოფიცერი ვლადიმერ პუტინი და მისი გარემოცვა ყოფილი ჯაშუშებიდან ძველებურად აკონტროლებენ ამ ქვეყანას, და უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ხელში ჩაიგდო პრაქტიკულად ყველა რუსული საწარმო.

ჯაშუშების მაგალითს მიჰბაძეს რუსეთის ელიტის სხვა ჯგუფებმაც. მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი გაგრასთან უზარმაზარი საკურორტო კომპლექსის მშენებლობისთვის (ადგილობრივები მას „მოსკოვის პროექტს“ უწოდებენძ. ამავე დროს ის სოხუმში აშენებს გიგანტურ ოფისს, რომ მოახდინოს მოსკოვიდან შემოსული ინვესტიციების კოორდინაცია სახელწოდებით „მოსკოვის სახლი“. რუსეთის თავდაცვის, სოფლის მეურნეობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა ასევე დაიბრუნეს სახელმწიფო აგარაკები სოხუმში, გაგრასა და გუდაუთში, რათა მათ თანამშრომლებს შეეძლოთ, აქ გაატარონ შვებულება. რუსეთის სამხრეთში კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ზაფხულს ატარებს აგარაკზე, რომელიც ააგო სტალინის საიდუმლო პოლიციის უფროსმა. მან იგი არენდად აიღო ადგილობრივი მთავრობისგან, რომელსაც არ აქვს საშუალება გაუკეთოს მას რემონტი. რუსეთის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელს სერგეი კირიენკოს, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაცია გვარწმუნებს, ეკუთვნის აფხაზეთის ღვინის ქარხანა.

მაგრამ ყველაზე მეტი სახსრები აფხაზეთში დააბანდა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც აქ შარშან იყო ომის პირველი წლისთავზე და რომელმაც დადო პირობა, რომ გამოყოფს 500 მილიონ დოლარ სახელმწიფო დახმარებას აფხაზეთის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ამას გარდა ის დაჰპირდა აგრეთვე მილიონობით ინვესტიციას ბიჭვინთის განვითარების მასშტაბურ პროექტში, რუსეთის მთავრობას განზრახული აქვს ააშენოს, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ასტამურ ქეცბამ გვითხრა, „პუტინის ქალაქი“ – მდიდრული კურორტი იახტების ნავსადგურით, გამაჯანსაღებელი კლუბებითა და კერძო პლაჟებით. ის მზად უნდა იყოს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დაწყებამდე. აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გვითხრა, რომ მან უკვე მიიღო 300 მილიონი დოლარი შემოთავაზებული 9 მილიარდიდან, და რომ მან და პუტინმა მიაღწიეს შეთანხმებას, რაც საშუალებას მისცემს რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში შეიძინონ უძრავი ქონება. მან აგრეთვე დაიტრაბახა, რომ სოხუმში ერთი თვის შემდეგ გახსნილი აეროპორტი იქნება სოჭის აეროპორტზე უკეთესი და რომ მალე სეპარატისტულ რესპუბლიკაში განათავსებენ რუსეთის რაკეტებს ს-300.

ბევრ ადგილობრივ მოსახლეს როდი ახარებს რუსული ფულის შემოდინება. ბევრს ეშინია რესპუბლიკის მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობისა. თამარა ლაკბა, გაგრისა და ბიჭვინთის მთავარი არქიტექტორი აღნიშნავს, რომ ის გაოცებული იყო, როდესაც დაინახა „პუტინის ქალაქის“ პროექტი, რომლის მრავალსართულიანი ნაგებობანი მას მეტად მაღალი და მახინჯი ეჩვენა ადგილობრივი არქიტექტურის 3 და 4-სართულიანი სახლების ფონზე. „მე გავიგე, რომ რუსეთის უშიშროების სამსახურმა მოგვცა თავისუფლება იმისთვის, რომ მიეღო შესაძლებლობა გადაწყვიტოს, რა შეისყიდონ და რა ააგონ ჩვენს ქალაქებში“, – ამბობს იგი. აფხაზეთში შემოსული რუსული ფულის ნაკადების ფონზე სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოწოდება რუსეთის ჯარების სასწრაფო გამოყვანის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოიყურება როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. „რუსეთი ჯერ მხოლოდ მოვიდა“, – განაცხადა პრეზიდენტმა ბაღაფშმა.

Newsweek

# რუსები და ქართველები რეგულარულ ავიამიმოსვლას ვერ ელირსნენ

**რუსეთის ავიაციამ უარყო ამ დღეებში გამოქვეყნებული ინფორმაცია რეგულარული ავიამიმოსვლის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის. „საკითხი შეეხება ჩარტერულ ფრენებს, რომლებსაც განახორციელებენ რუსეთის ავიაკომპანია „სიბირი“ და ქართული აირზენა პარიტეტულ საფუძველზე კვირაში სამჯერ“, – განაცხადა ფედერალური სააგენტოს წარმომადგენელმა.**

მიღებული გადაწყვეტილება კერძოდ დაკავშირებულია დიდ მოთხოვნასთან მოსკოვსა და თბილისს შორის ფრენასთან დაკავშირებით. „ხალხი ბრუნდება შვებულებიდან, იწყება სასწავლო წელი“, – აღნიშნა წყარომ. მისი სიტყვებით, რეგულარული ავიამიმოსვლის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს ორი ქვეყნის ხელისუფლების მოლაპარაკების შედეგად.

თბილისში აგრეთვე ამტკიცებენ, რომ ამჟამად საკითხი შეეხება მხოლოდ ჩარტერულ რეისებს. „ჩვენ მივეცით ნება „სიბირს“ მას შემდეგ რაც ჩვენი სამოქალაქო ავიაციის ფლაგმანმა აირზენამ მოსკოვიდან მიიღო ნებართვა ჩარტერული რეისების შესრულებაზე ზაფხულის განმავლობაში“, – განაცხადა საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომელმა ლია ხომასურიძემ. თანაც მისი სიტყვებით, თავდაპირველად გათვალისწინებული იყო, რომ ჩარტერულ რეისებს ზაფხულში განახორციელებს აირზენა, აგვისტოს დასაწყისიდან კი – „სიბირი“.



შეგახსენებთ, რომ რეგულარული ავიამიმოსვლა ორ ქვეყანას შორის შეწყვიტა რუსეთმა 2006 წელს საქართველოში რამდენიმე რუსი ოფიცრის დაპატიმრების შემდეგ გაჩაღებულ სკანდალთან დაკავშირებით. ავიამიმოსვლის განახლებას ხელს უშლის აზრთა სხვადასხვაობა ორ ქვეყანას შორის. კერძოდ, მოსკოვი მოითხოვს ქართული ავიაკომპანიის მიერ ვალის გადახდას, რომელიც დაუგროვდა რუსეთის სანავიგაციო სამსახურის წინაშე 1990-იან წლებში. ამავე დროს თბილისი მოითხოვს, შეწყდეს ყოველგვარი საუბარი რეგულარული რეისების დაწყების შესახებ მარშრუტით მოსკოვი-სოხუმი.

*პაველ ტარასენკო*
*გიორგი დვალი*

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ასტრონომებმა განსაზღვრეს სამყაროს ბედი: უსასრულოდ გაფართოების შემდეგ იგი გადაიქცევა ცივ მკვდარ სიცარიელედ**

ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელი გახდა გიგანტური „გალაქტიკური ლინზის“ წყალობით. – ესაა კაცობრიობისთვის ერთ-ერთი ნაცნობი ყველაზე დიდი გალაქტიკა ქალწულის თანავარსკვლავედში. როდესაც თვალყური გაადევნეს, თუ როგორ ხრის იგი უფრო შორეული გალაქტიკების შუქს, მეცნიერებმა „დაინახეს“, თუ როგორ ვრცელდება კოსმოსში საიდუმლო შავი მატერია, რომელიც აჩქარებს გაფართოებას.

* * *

**ჩინეთში მდინარე სუნგარზე გადაბრუნდა და ჩაიძირა ბორანი**



ტრაგედია მოხდა ხეილუნძიანის პროვინციის ქალაქ ხარვინის რაიონში. მეთვალყურეები შეეცადნენ, დახმარებოდნენ ტრაგედიის მსხვერპლს სამაშველო წრეებით. ამის წყალობით სულ ცოტა 4 მგზავრი გადარჩა. დაიწყო სამაშველო ოპერაცია, რასაც ართულებს ღელვა.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იაპონიისგან მოითხოვა ბოდიშის მოხდა და კომპენსაცია**



ასეთი განცხადება გავრცელდა კორეის ანექსიის 100 წლისთავთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია ტოკიოში შეთხზულმა ხელშეკრულებამ. 1910-დან 1945 წლამდე იაპონიის ხელისუფლებამ ძალით გაიყვანა მონური შრომისთვის 8,4 მილიონზე მეტი კორეელი, მათგან დაახლოებით 1 მილიონი დაიღუპა.

* * *

**ჰოლანდიელმა თავისი 3 წლის გოგონა დათვისგან გადაარჩინა**

ინციდენტი, რომელიც ლამის ტრაგიკულად დამთავრდა, მოხდა გერმანიის კერძო ზოოპარკში ლიუნებახში. სამი წლის გოგონა გადაძვრა ღობურზე და გადავარდა ვოლიერის ორმოში, სადაც იყო 28 წლის ჰიმალაის დათვი. ბავშვი ამოიყვანა მამამისმა, ორივემ მიიღო დაზიანება. ახლა მშობლები შეიძლება გაასამართლონ გულგრილობისთვის.



საქმე №3/181-2010 წ.

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

11 აგვისტო, 2010 წელი. ქ. ქუთაისი

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

**მოსარჩელე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
**მოპასუხე** – ავთანდილ ქოჩიაშვილი.
**დავის საგანი** – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრება.

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე **ავთანდილ ზურაბის ძე ქოჩიაშვილის** მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის ავთანდილ ქოჩიაშვილის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №6, 1/ბ №10;

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ **ავთანდილ ზურაბის ძე ქოჩიაშვილი** მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის წერილით დადგენილია, რომ ავთანდილ ქოჩიაშვილი რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №6, 1/ბ №10-ში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე **ავთანდილ ქოჩიაშვილისათვის** სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე **ავთანდილ ზურაბის ძე ქოჩიაშვილს,** რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი **ავთანდილ ზურაბის ძე ქოჩიაშვილის** მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტიძ შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო **ავთანდილ ზურაბის ძე ქოჩიაშვილის** მიმართ – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია **2010 წლის 30 აგვისტოს 12:00 საათზე**, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე **ავთანდილ ქოჩიაშვილისათვის** ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე **გოჩა აბუსერიძე.**

---

საქმე №3/182-2010 წ.

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

11 აგვისტო, 2010 წელი. ქ. ქუთაისი

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

**მოსარჩელე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
**მოპასუხე** – კობა ლევანის ძე კობახიძე.
**დავის საგანი** – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრება.

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე **კობა ლევანის ძე კობახიძის** მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხე **კობა ლევანის ძე კობახიძის** საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, გრ. ჩორგოლიანის ქ. №3, ბ 147;

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ **კობა ლევანის ძე კობახიძე** მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის წერილით დადგენილია, რომ **კობა ლევანის ძე კობახიძე** რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, გრ. ჩორგოლიანის ქ. №3, ბ 147-ში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე **კობა ლევანის ძე კობახიძისათვის** სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე **კობა ლევანის ძე კობახიძეს**, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი **კობა ლევანის ძე კობახიძის** მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტიძ შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო **კობა ლევანის ძე კობახიძის** მიმართ – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია **2010 წლის 30 აგვისტოს 12:40 საათზე,** ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე **კობა ლევანის ძე კობახიძისათვის** ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე **გოჩა აბუსერიძე.**

---

საქმე №3/180-2010 წ.

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

11 აგვისტო, 2010 წელი. ქ. ქუთაისი

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

**მოსარჩელე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
**მოპასუხე** – ზურაბ აკაკის ძე კილასონია
**დავის საგანი** – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრება.

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე **ზურაბ აკაკის ძე კილასონიას** მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის **ზურაბ აკაკის ძე კილასონიას** საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №8, ბ 127;

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ **ზურაბ აკაკის ძე კილასონია** მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით **ზურაბ აკაკის ძე კილასონია** რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №8, ბ №127-ში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე **ზურაბ აკაკის ძე კილასონიასთვის** სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე **ზურაბ აკაკის ძე კილასონიას,** რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი **ზურაბ აკაკის ძე კილასონიას** მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტიძ შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო **ზურაბ აკაკის ძე კილასონიას** მიმართ – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის, პირგასამტეხლოს და სანივთე დავალიანების დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია **2010 წლის 30 აგვისტოს 12:20 საათზე,** ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე **ზურაბ აკაკის ძე კილასონიასთვის** ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე **გოჩა აბუსერიძე.**

---

საქმე №3/190-2010 წ.

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

11 აგვისტო, 2010 წელი. ქ. ქუთაისი

### ქუთაისის საქალაქო სასამართლო

### მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

**მოსარჩელე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
**მოპასუხე** – ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილი.
**დავის საგანი** – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრება.

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილის** მიმართ და ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მოპასუხის **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილის** საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, ვ. მეგრელიშვილის ქ. №19, ბ 27;

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილი** მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საქმეში არსებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილი** რეგისტრირებულია ქ. ქუთაისი, ვ. მეგრელიშვილის ქ. №19, ბ 27-ში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილისთვის** სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხე **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილს,** რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილის** მიმართ ხელშეკრულების (კონტრაქტიძ შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილის** მიმართ – ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია **2010 წლის 30 აგვისტოს 13:00 საათზე,** ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, III სართული, დარბაზი №5ძ.
4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.
5. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე **ვარლამ ლევანის ძე ბუზაშვილისთვის** ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე **გოჩა აბუსერიძე.**

ჩოგბურთი

# ფინალს უწია



**უკვე გაუწყეთ, რომ წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ კორტს დაუბრუნდა ქართველი ჩოგბურთელი ლადო ჩიხლაძე, რომელიც ავსტრიის ქალაქ ზანკტ პიოლტენის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) ჩაება.** მან წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი, ხოლო ძირითად ბადეში ჯერ გერმანელი შტეფან დირაუფი დაამარცხა – 3:6, 6:4, 6:0, შემდეგ ეულსელი ჯოშუა მილტონი ჩამოიშორა გზიდან – 6:7, 6:2, 6:3, მეოთხედფინალში გერმანელ რიხარდ ვაიტეს აჯობა – 7:6, 6:4 და ნახევარფინალში ავსტრიელ ნიკოლას რაიზიგს დაუპირისპირდება.

ჩიხლაძე ასევე წარმატებით გამოდის წყვილთა თანრიგში. ავსტრიელ პასკალ ბრუნერთან ერთად იგი ფინალში გავიდა და ლემკეებელტაიტის (ავსტრია) დუეტს შეხვდება.

**ლაშა ბედია**

ჭადრაკი

# არეშიძე „ვერცხლით“ დაკმაყოფილდა



**კატალონიაში დასრულდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა დიდოსტატმა ლევან არუშიძემ.** ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით მან კუბელ ლელუს მარტინესთან ერთად პირველ-მეორე ადგილები გაიყო, თუმცა უარესი კოეფიციენტით, „ვერცხლი“ ერგო. 7 ქულით მესამე ადგილზე კუბელი ფიდელ ხიმენეს კორალესი გავიდა. ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 17800 ევრო.

**ლექსო ცინცაძე**

სინგაპური 2010

# გუნდურში ჩინელები მეწინავეობენ

**მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს მხოლოდ 5 სპორტსმენი (მეტი საგზური ვერ მოვიპოვეთ) გაემგზავრა. მათგან სამმა უკვე იასპარეზა და მხოლოდ ირაკლი მოსიძემ მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი. დღეს ძიუდოისტები – ბექა ტულუში და სოფიო ბერიძე მოსინჯავენ ძალებს.**

რაც შეეხება საერთო გუნდურ ჩათვლას, ექვსდღიანი პაექრობების შემდეგ 22 მედლით (13 ოქრო, 7 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) ჩინელები მეწინავეობენ. ამდენივე მედალი მოაგროვეს რუსებმაც, მაგრამ ლიდერებს ოქროთა რაოდენობით (10 ოქრო, 8 ვერცხლი, 4 ბრინჯაო) ჩამორჩებიან. გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე სამხრეთკორეელები (5, 2, 2) იმყოფებიან. საგულისხმოა, რომ 5 „ოქროთი“ მეოთხეზე აზერბაიჯანელები არიან. საქართველო ერთი „ბრინჯაოთი“ 51-ე(!) ადგილზეა.

**ვაჟა ვლადიმერიძე**

სინქრონული ცურვა

# დედის გზით

**იყო დრო, „ლაგუნა ვერეზე“ დაფრთიანებული სინქრონულად მოცურავეები საქართველოს საზღვრებს გარეთაც წარმატებით ასპარეზობდნენ. დასტურად ქრისტინა ფალასანიდის მიღწევებიც კმარა.** მისი თაობის გოგონებმა ჯგუფურ ვარჯიშში 1986 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს, მომდევნო წელს კი ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ამ გუნდის ღირსებას იცავდა ნინო ლომოური, რომელიც ამჟამად ოჯახთან ერთად საბერძნეთში ცხოვრობს და მუშაობს, მისი 14 წლის ქალიშვილი ქრისტინა ბოჭორიშვილი კი სალონიკის საწყლოსნო კლუბ „ირაკლისში“ ვარჯიშობს – დედის გზას განაგრძობს. ამას წინათ ათენში, ხმელთაშუა ზღვის თასის გათამაშებაში, სადაც მასპინძლებთან ერთად ესპანეთის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, უკრაინის, იტალიის, ბულგარეთისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ქრისტინა ბოჭორიშვილმა საქართველოს სახელით იასპარეზა, ფინალშიც შევიდა და მერვე ადგილი დაიკავა, რაც, უდავოდ, დიდი წარმატებაა.



**ვაჟა გაგუა**

დაუმარცხებელი

# 31–ე!



**როგორც ამერიკული ირვაინიდან იტყობინებიან, წყნარი ოკეანის ჩემპიონატზე 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ერთხელ კიდევ ისახელა თავი თოთხმეტგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ფელპსმა – 55,11. ეს იყო ამერიკელის ზედიზედ 31-ე გამარჯვება ამ დისტანციაზე 2002 წლის შემდეგ. როგორც თავად ფელპსმა თქვა, ის ამჯერად კარგ ფორმაში არაა, ამიტომაც ძალზე გაუჭირდა და ნატრობდა ფინიშის მალე გამოჩენას. მიუხედავად ამისა, ეს დისტანცია მას მაინც ძველებურად უყვარს.**

შეჯიბრებაში მონაწილეობას აღარ აპირებდა ოლიმპიური ჩემპიონი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში აარონ პირსოლი, რადგან წინასწარ გაცურვაში მან მხოლოდ მეცხრე შედეგი აჩვენა, მაგრამ რადგან ფინალში მონაწილეობაზე უარი თქვა მეორე ამერიკელმა ბრაიან ლოსტემაც, ის მაინც დადგა წყლის ბილიკზე და გაიმარჯვა კიდეც ჩემპიონატის რეკორდით – 53.11.

ფეხბურთი

# ნუ გაგიკვირდებათ



**„ძველ სამყაროში“ ახალი საფეხბურთო სეზონი ჯერ არ გახურებულა, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ ის რამდენიმე სენსაციური შედეგი, ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის I რაუნდში რომ დაფიქსირდა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ – საპასუხო შეხვედრებამდე დარჩენილ დროში ფავორიტები სათანადო კონდიციებს აკრეფენ და, ალბათ, გააღწევენ კიდეც ჯგუფურ ტურნირში.**

„სიბირი“ – „ეინდჰოვენი“ 1:0, ბატე – „მარიტიმუ“ 3:0, ცსკა (მოსკოვი) – „ანორთოსისი“ 4:0, „ლევერკუზენი“ – „ტავრია“ 3:0, „პარი სენ-ჟერმენი“ – „მაკაბი“ 2:0, „რაპიდი“ – „სტონ ვილა“ 1:1, „სლოვანი“ – „შტუტგარტი“ 0:1, აიკი – „ლევსკი“ 0:0, „დებრეცენი“ – „ლიტექსი“ 2:0, „დნიპრო“ – „ლეხი“ 0:1, „ვასლუი“ – „ლილი“ 0:0, „ომონია“ – „მეტალისტი“ 0:1, „ოდენსე“ – „მოზერუელი“ 2:1, „ფეიენოორდი“ – „გენტი“ 1:0, „გალათასარაი“ – „კარპატი“ 2:2, „სტიაუა“ – „გრასხოპერსი“ 1:0, „ბრიუგე“ – „დინამო“ (მინსკი) 2:1, ცსკა (სოფია) – „ლანსტანფრეიდი“ 3:0, „ჰაიდუკი“ – „უნირეა“ 4:1, „ლოზანა“ – „ლოკომოტივი“ 1:1, „პალერმო“ – „მარიბორი“ 3:0, პაოკი – „ფენერბახჩე“ 1:0, „გენკი“ – „პორტუ“ 0:3, „სელტიკი“ – „უტრეხტი“ 2:0, „ლივერპული“ – „ტრაბზონსფორი“ 1:0, „ალკმაარი“ – „აქტობე“ 2:0, „დანდი“ – აეკი 0:1, „ხეტაფე“ – „აპოელი“ 1:0, „ტიმიშორა“ – „სიტი“ 0:1, „ნაპოლი“ – „ელფსბორგი“ 1:0, „დიერი“ – „დინამო“ (ზაგრები) 0:2, „ბორუსია“ – „ყარაბახი“ 4:0, „შტურმი“ – „იუვენტუსი“ 1:2, „ვილიარეალი“ – „მოგილიოვი“ 5:0, „სპორტინგი“ – „ბრონდბიუ“ 0:2.



**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## მწვრთნელი გაღიზიანდა

**როგორც უკვე ვწერდით („სრ“ 19.08), საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ მოგვიანებით, მაგრამ მაინც დასაჯა მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში ცუდი გამოსვლის გამო ქვეყნის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე: ანელკა 18 მატჩის, ევრა – 5 მატჩის, რიბერი – 3 მატჩის და ტულალანი – 1 შეხვედრის გამოტოვებით.** ამ გადაწყვეტილებამ ძალზე გააღიზიანა ნაკრების ახალი მწვრთნელი ლორან ბლანი. მისი თქმით, გუნდს, ევრო-2012-ის შესარჩევ ტურნირს რომ იწყებს, ყველა კოზირი სჭირდება. მისი აზრით, საკმარისი იყო ის კოლექტიური სანქციები, მისი ინიციატივით რომ განახორციელეს. ახალმა მწვრთნელმა ხომ საკონტროლო მატჩზე არ გამოიძახა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე არც ერთი ფეხბურთელი.

ამიტომაც, ლორან ბლანი აპირებს აპელაციის შეტანას, რათა „საქმის ინტერესებისთვის“ გააუქმონ დისკვალიფიკაცია. როგორც ამბობენ ამავე აზრისაა სადისციპლინო კომისიის ზოგიერთი წევრიც.



## სკამებიც გამოიყენეს



**დიდი ხელჩართული კი არა, სკამჩართული ბრძოლა გაიმართა კალათბურთში საბერძნეთისა და სერბეთის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში საერთაშორისო ტურნირის „აკროპოლისის“ ჩარჩოებში. ჩხუბი დაიწყო მოედანზე და გაგრძელდა გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში მას შემდეგ, რაც მსაჯებმა, მათთან განუწყვეტელი დავის შემდეგ, დარბაზიდან გააძევეს სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი.**

შეტაკება 5 ათასი მაყურებლის თვალწინ დაიწყო საბერძნეთისა და სერბეთის ნაკრებების მოთამაშეების ანტონის ფოცისისა და მილოშ თეოდოისიჩის ერთმანეთთან შეტაკებით. გაცხარებულ ბრძოლაში კრსტიჩმა სკამი ესროლა სოფოკლის შორცანდილსს მაგრამ სკამი ბურთზე მძიმე აღმოჩნდა. იგი ბერძნების სხვა მოთამაშეს – იანის ბურუსისს მოხვდა და თავიც გაუტეხა, ორთაბრძოლა კი მასობრივ არეულობაში გადაიზარდა.

## კრიშტიანუ ბიჭის მამაა

**სახელგანთქმული ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუს ყოფილმა შეყვარებულმა ნერეიდა გალიარდომ განაცხადა, რომ მან იცის, თუ ვინაა კრიშტიანუს ბავშვის დედა – 19 წლის ლონდონელი სტუდენტი გოგონა, რომელმაც აცნობა, რომ ფეხმძიმედაა რონალდუსგან.**

„მან თქვა, რომ სწავლობს ლონდონში, ახლა კი აშშ-შია. მე ასპროცენტიანი დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ მისი ნათქვამი სიმართლეა. ის რამდენიმე თვით ადრე დამიკავშირდა, როცა ცნობილი გახდა, რომ კრიშტიანუს ბიჭი ჰყავს“.

გალიარდო იმ ქალიშვილის ვინაობას არ ასახელებს, რადგან მას თავის დროზე ამის პირობა მისცა.



ეპიტაფია

# ნაზი თარგამაძე – ჩინებული შემოქმედი და ადამიანი

ქართველ მწერალთა რიგებს კიდევ ერთი მშვენიერი შემოქმედი გამოაკლდა.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საბავშვო პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ნაზი დომენტის ასული თარგამაძე, რომელმაც მთელი თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურს შეალია...

ნაზი თარგამაძე დაიბადა 1929 წლის 14 მაისს ბორჯომში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1951 წელს დაასრულა. მას შემდეგ ნაზი თარგამაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ „მნათობის“ ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ კულტურის განყოფილების გამგედ, და ყველგან ერთსულოვანი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, ღირსებითა და სათნოებით სავსე პიროვნება.

ნაზი თარგამაძეს ფართო საზოგადოება იცნობდა, როგორც მშვენიერ საბავშვო პოეტს. ქართველი პატარების სამაგიდო წიგნებად იქცა ნაზი თარგამაძის ისეთი საყმაწვილო კრებულები, როგორიც არის „მეგობრები მოდიან“, „ვინ არის ამის მხატვარი“, „მოგეფერებით ლექსით“, „რომ აგიხდეს ნატვრა“... ამ კრებულებში წარმოდგენილ ლექსებში სრულად წარმოჩინდა პოეტი ქალბატონის ძალმოსილება. ეს ლექსები ყურადღებას სილაღით, ბუნებრივობით, ბავშვთა ბუნების ზედმიწევნითი ცოდნით იქცევს. ვის-ვის და ქალბატონ ნაზის კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ საქართველოს მხოლოდ ზნესრული, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, გონიერი და წინდახედული მომავალი თაობა ესაჭიროებოდა. ალბათ, ამიტომაც სწავლობდნენ პატარები ნაზი თარგამაძის ლექსებით სამშობლოს სიყვარულს, ვაჟკაცობას, პატიოსნებას, ერთგულების ფასს, იზრდებოდნენ მშობელი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტებად...



ამავე დროს, ნაზი თარგამაძე არაერთი მშვენიერი ლირიკული ლექსის ავტორიც იყო, რომლებშიც დაივანა მისმა უსათნოესმა გრძნობებმა, რომელთა გამხელასაც მუდამ ერიდებოდა იგი.

ნაზი თარგამაძის ლექსებზე არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა.

ქალბატონი ნაზი ქართველ ჟურნალისტთა კოჰორტის ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი გახლდათ. მის კალამს არაერთი მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური წერილი ეკუთვნის.

ნაზი თარგამაძის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენით – ღირსების ორდენით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ნაზი თარგამაძის შემოქმედებაში ღიმილი და სევდა მუდამ ენაცვლებოდა ერთმანეთს. ეს მშვენიერი პოეტი მთელი ცხოვრება საკუთარ რეკვიემს წერდა და ახლა, როდესაც ფერისცვალების დღეს აღესრულა, შეიძლება ითქვას, რომ რეკვიემი მეტად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი გამოუვიდა.

ქართველ მწერლებს და მკითხველ საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრებათ ნაზი თარგამაძე. შესანიშნავი შემოქმედი, მოქალაქე, სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული მანდილოსანი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სამართალი

არც ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენმა „შეუვალმა პროკურატურამ“ ჩოხატაურში 18 წლის ქალიშვილის (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ) გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული ოლეგ ანთაძე გირაოს საფასურად გათავისუფლა, რასაც სოფლის მოსახლეობის აღშფოთება მოჰყვა: სოფლელებმა გადაწვეს ხანთაძეების სახლ-კარი და პოლიციისგან დამნაშავის დაუყოვნებლივ დაკავება და მისი მოსახლეობისთვის გადაცემა მოითხოვეს – ჩვენ თვითონ დავსჯითო!

# უსამართლო სასამართლო, გირაო და... ლინჩი



...ლინჩის წესით გასამართლება XVIII საუკუნის ამერიკიდან მოდის, როდესაც ადგილობრივი შერიფები ვერ ახერხებდნენ კრიმინალთა თარეშისგან მოსახლეობის დაცვას. მაშინ ხალხი თვითონ აღგენდა სამართალს: იჭერდა დამნაშავეს და საკუთარი შეხედულებით ასამართლებდა.

ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შედარებით გაუმჯობესების შემდეგ, როდესაც სამართალდამცავი სტრუქტურები უკვე მეტ-ნაკლებად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, ლინჩის შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იკლო.

„ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ საერთოდ ამოაგდო ხმარებიდან „ლინჩის წესით“ გასამართლების ტერმინი. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის არც ისე შორეული წარსულიდან არ მოდიოდეს და რეციდივები არ მოჰყვებოდეს. სპეციალისტები თვლიან, რომ ლინჩს დღესაც ხდება, მაგრამ ფაქტები უფრო მცირემასშტაბიანი და შენიღბულია.

**რომან ტყეშელაშვილი, იურისტი:** „ის, რომ XXI საუკუნეში ადამიანს კიდევ უჩნდება, თავისი აზრით, აშკარა ბოროტმოქმედის საკუთარი კანონებით გასამართლების სურვილი, ეს სახელმწიფოს, პირველ რიგში კი სამართალმწარმოებელი ორგანოების „დამსახურებაა“. საზოგადოებას არ სჯერა სიმართლის. ამის მიზეზი კი ის ლოიალური გადაწყვეტილებებია, რომლებიც სასამართლოს გამოაქვს უმძიმესი დანაშაულის ჩამდენის მიმართ.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მოსამართლეპროკურორს უმძიმესი სასჯელის გადაწყვეტილება გამოაქვთ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენთათვის“.

**ვალერი ქართველიშვილი, ყოფილი პოლიციელი:** „ჩვენი მუშაობის პერიოდშიც იყო და დღესაც ხშირია თვითგამორკვევის თვითგასამართლების ნიადაგზე მომხდარი უმძიმესი დანაშაულების რიცხვი. ხდება მკვლელობა, დაჭრა. ჩვენთან კი ყველაფერი ურთიერთშელაპარაკებად კვალიფიცირდება რატომღაც არავინ ინტერესდება, რა არის ყოველივეს თავი და თავი“.

**ლელა ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგი:** „დღეს მოსამართლეები ხშირად მეტად გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, რაც აშკარად ვნებს მათს „ფავორიტს“. მაგრამ შედეგს არავინ დაგიდევს – სასამართლოს ბიუჯეტი აქვს შესავსები.

ამის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც გირაოს სანაცვლოდ შეწყალებულს, აშკარა დამნაშავეს, უკვე დაზარალებული მხარე უპირისპირდება. ამის შედეგი შეიძლება უცბად არ იყოს საცნაური და ის კარგა ხანს მზადდებოდეს. უარყოფითი გავლენა შეიძლება თავის თავზე იწვნიონ არა პირდაპირ ყოფილმა ბრალდებულმა, არამედ მისმა ახლობლებმა, ნათესავებმა. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების მწვავე რეაქციას მძიმე დანაშაულებზე, გირაოს გადახდის შედეგად გათავისუფლებულს უჩნდება საფრთხე. ყოველივე კი გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს“.

შსს-ს ოპერატიული თანამშრომლები გვიხსნიან, რომ თვითგასამართლების მოწყობის მაპროვოცირებელი, პირველ რიგში ის მხარეა, რომელსაც მიაჩნია, რომ სასამართლომ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რითაც შელახა მისი ინტერესები.

**რომან ტყეშელაშვილი:** „ის, რომ ამაღლდეს საზოგადოების მართლცნობიერება, პირველ რიგში, საჭიროა, სახელმწიფომ თავისი ქმედებით აღადგინოს მოქალაქეების ნდობა კანონისა და სასამართლოსადმი. უნდა ითვალისწინებდნენ დაზარალებულის პრინციპებს ამის მაგივრად, ხელისუფლება უფრო ძაბავს სიტუაციას და აპირებს წინასწარი გამოძიების გაუქმებას. ეს კი დაზარალებული მხარის სრული იგნორირების საფუძველი გახდება.

სახელმწიფო აუცილებლად უნდა უწევდეს პოპულარიზაციას სასამართლოს. მართალია, ბოლო დროს ამ კუთხით რაღაც კეთდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგანაც რეალობას მოწყვეტილია“.

თუმცა ჩვენი ხელისუფლებისთვის რეალობიდან დაშორება დიდი პრობლემა არ არის – მისთვის მთავარი ხომ პიარია.

ზაზა ბილიხოძე

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება ოჯახის მეგობრის

ნაზი თარგამაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე
თბილისი. 20.08.2010 წ.

---

მანანა შევარდნაძე და თამუნა მოსაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ახლობელი ადამიანის, უმწიკვლო პიროვნების, პოეტი ქალბატონის

ნაზი თარგამაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის საყვარელ და თბილ ოჯახს – ქეთევან, თემურ, ნანუკა და სოფიკო კიკნაძეებს.

---

პაატა და ნინო შევარდნაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ნაზი თარგამაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ნეოსტუდიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანუკა კიკნაძეს ბებიის, ცნობილი ქართველი პოეტის

ნაზი თარგამაძის

გარდაცვალების გამო.

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა გულისტკივილს გამოხატავს შესანიშნავი ქართველი პოეტის, უსათნოესი, უმშვენიერესი ქალბატონის

ნაზი თარგამაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ რევაზ ხანთაძეს და ბატონ მამუკა ხანთაძეს შვილისა და ძმის

კოკა ხანთაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, მამია სულაბერიძე, ბორის ბოჭორიშვილი, რემი გველესიანი, ნოდარ ჯიქია, ჯემალ ვაშაკიძე, მანანა გაფრინდაშვილი, ნანა ღიბრაძე, დარეჯან ჭარბაძე, იულონ სამადალაშვილი, ვახტანგ თოდუა, გურამ ხმალაძე, გელა გელაშვილი, შოთა კოლელიშვილი, ნუგზარ კვიკვინია იუწყებიან

გულიკო დედაბრიშვილი-კობახიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები გივი, ოთარ, ზაურ გამსახურდიები, რძლები ლალი ბაჩილავა, რუსიკო ლეჟავა, თამუნა ფაილოძე, შვილიშვილები მაია, გიორგი, ნინუკი ოჯახებით, შვილთაშვილები იუწყებიან

ლუბა გამსახურდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 VIII, 17 სთ. გამოსვენება 22 VIII, 14 სთ. მისამართი: ი. ჭავჭავაძის 62, I სადარბაზო.

## განცხადება

**შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა“ 88 ტონა შავი ლითონის დამუშავებული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს.**

1 ტონა შავი ლითონის დამუშავებული ჯართის საწყისი ფასი შეადგენს 220 (ორასოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. ბიჯი 5 ლარი;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტით (1936 – ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი ლარით). თანხა შეტანილი უნდა იქნეს შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ანგარიშზე სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101945, ანგარიშის ნომერი: 4133548.

აუქციონი გაიმართება შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, 2010 წლის 23 სექტემბერს, 12 საათზე. განცხადებები მიიღება 2010 წლის 23 აგვისტოდან 22 სექტემბრის 17 საათამდე.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 5-55-10; 5-55-30.**

**შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ დირექცია.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## შენ „ის“ უძახე და...

# დიდ ბრიტანეთში შექმნეს მანქანა, რომლის სათბობ ავზსაც მართავენ კანალიზაციით




# ფეკალომობილი

**ვლადიმერ ვოინოვიჩის რომანის „ჯარისკაც ივან ჩონკინის ცხოვრება და არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ ერთ-ერთი გმირი შეეცადა, გამოეხადა არაყი ნაგვისგან. ასე „ღრმად“ ვერ ჩაფიქრდა ინგლისელი – ნისლიან ალბიონში შექმნეს მხოლოდ საავტომობილო ძრავა, რომელიც მუშაობს ფეკალზე.**

ახალი ბუნებრივი საწვავი წარმატებით გამოიყენეს კაბრიოლეტ „ფოლკსვაგენზე“. ნაგვის ძრავა ალმოჩნდა მეტად ეკონომიური. საკმარისია 70 ბრიტანული ოჯახის ერთი დღე- ღამის საკანალიზაციო ნარჩენები, რომ გრიალით გაიარო რამდენიმე ათასი კილომეტრი. გამოგონება ამყარებს ყველა მოტორის რეკორდს ალტერნატიულ საწვავზე. სასწაულებრივი სისტემის ამაყი გამომგონებელი მოჯამედ სადიკი დარწმუნებულია, რომ მისი ჩვილი გამოდევნის ელექტროძრავებსაც კი.

ახალი ძრავის მთავარი ნაწილი არის განსაკუთრებული სათავსები, სადაც შეჰყავთ ადამიანის ცხოვრების ნარჩენები. მიკროორგანიზმები გადაამუშავებენ ნაგავს მეთანად. შეიძლება ითქვას, რომ ნაგვისგან ამზადებენ კამფეტს, გაზს კი მოძრაობაში მოჰყავს ავტომობილის ბორბლები.

გიხარია, რომ მანქანის გამონაბოლქვს არ აქვს უფრო მყრალი სუნი, ვიდრე ბენზინს ან დიზელის საწვავს.

### ისტორიული ფაქტი

- ჯერ კიდევ 1890 წელს რუდოლფ დიზელმა შექმნა ძრავი, რომელიც მუშაობდა არაქისის ზეთზე.
- XIX საუკუნის ბოლოს ჰენრი ფორდს მიაჩნდა, რომ მომავლის საწვავი გახდება ეთანოლი, რომელიც შეიძლება მიიღო სოიის მარცვლებისგან.

### გახსოვდეს

სპორტული ავტომობილის ერთი გამართვა ღირს 250 კილო სიმინდი. ალტერნატიული საწვავის ყველაზე პერსპექტიულ სახეობად დღეს ითვლება ელექტრობა და წყალბადი.

მოგვაწოდა გურამ მიქაბერიძემ

ЭКСПРЕСС газета online

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 – +35 |
| ქუთაისი. | +23 – +37 |
| ბათუმი. | +23 – +30 |
| ზუგდიდი. | +22 – +34 |
| თელავი. | +20 – +32 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8455 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3676 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8795 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



## ანეკდოტები

პარლამენტის საზაფხულო არდადეგები მთავრდება. მალე დასვენებული დეპუტატები კვლავ უსაქმურობას დაუბრუნდებიან.

* * *

მოხუცი მებადურისთვის ნაღდი ჯოჯოხეთი მას შემდეგ დაიწყო, რაც თავის ცოლს უთხრა, ოქროს თევზი დავიჭირეო. მორალი: დაიჭირე რამე? – იყუჩე.

* * *

ჩვენს „რუსთავი ორეზზე“ ახალი ამბების ნახვის შემდეგ ტელევიზორს უცებ თუ გამორთავ, ჩაშავებულ



ეკრანზე შეიძლება დაინახო გამოყეყეჩებული ცხვრისთავას ანარეკლი, ხოლო თუ მთელი ოჯახი უყურებდით, – ერთბაშად რამდენიმე ასეთისა.

* * *

– დიდი მადლობა, სინიორ ჩიჩოლინო! – რეკავს ივანიჩი იტალიაში, – თითქოს სულ ახლახან მოგვაწოდეთ თქვენი იტალიური მოწყობილობები, და უკვე ჩვენი ურთიერთობების საიუბილეო თარიღიც დადგარა! უკვე სამი წელია, რაც ჩვენი საამქროდან ავტომობილები გამოდიან!

– დიახ, დიახ! გრანდიოზულია! ფანტასტიკურია! ნამდვილი რუსული სასწაულია! ჩვენ ხომ სპაგეტის დასამზადებელი დანადგარები გამოგიგზავნეთ!

## დღის კალენდარი

### 21 აგვისტო

ხსენება ღირსი მამისა ჩვენისა ექვთიმესი – ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარისა (1804ძ. წმ. ემელიანე აღმსარებლისა, კვიზიკელ ეპისკოპოსისა (813-820ძ; წმიდა მირონ საკვირველმოქმედისა – კრიტელ ეპისკოპოსისა (დაახლ. 350ძ; მოწამეთა: ელეფთერისა და ლეონიდესი; ღირსი გრიგოლ სინაიდელისა (XIVძ.




### დაიბადნენ:

**1698 – ჯუზეპე ანტონიო გვარნერი,** ვიოლინოს იტალიელი ოსტატი.

**1741 – ჟან ფრანსუა ლაპერუზი,** ფრანგი ზღვაოსანი.

**1789 – ოგიუსტენ ლუი კოში,** ფრანგი მათემატიკოსი.

**1874 – გიორგი კვინიტაძე,** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მთავარსარდალი. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1936 – რადიშ თორდია,** მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

**1947 – ეტორე ბუგატი,** იტალიელი მანქანათმშენებელი.

**1980 – ჯო დასენი,** ფრანგი მომღერალი.

**1997 – იური ნიკულინი,** რუსეთის ცირკისა და კინოს მსახიობი.

### მოვლენები:

**1888** – გამოიგონეს გამომთვლელი მანქანა.

**1911** – ლუვრიდან ლეონარდო და ვინჩის შედევრი „ჯოკონდა“ მოიპარეს.

**1937** – საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გაფორმდა.

**1944** – დუმბარტონ-ოკსში აშშ-ის, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის წარმომადგენლებმა უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენცია გამართეს.

**1945** – აშშ-ს პრეზიდენტმა ტრუმენმა ლენდ-ლიზის პროგრამა დაასრულა.

**1959** – ჰავაი აშშ-ს 50-ე შტატი გახდა.

**1965** – რუმინეთმა კონსტიტუცია მიიღო.

**1981** – მეცნიერებმა პირველად განაცხადეს დედამიწაზე გლობალური დათბობის საფრთხის შესახებ.

**1991** – ლატვიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ჰავაი** – ცნობის დღე.

**იუკონის პროვინცია (კანადა)** – აღმოჩენის დღე.

მედიანიუსი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.